ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 18 იანვარი, 2012 №14 (5704) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ ამუნდსენი 8 ლარი 18 იანვრიდან




# უგულავა და ბოკერია სააკაშვილს განუდგებიან

გვ. 3



## რატომ ბლოკავს გუბაზ სანიკიძეს ირაკლი ალასანია





გვ. 4

## ანქვაბი ბაღაფშის ნათესავებს დაერია

გვ. 2



## რუსეთი კავკასიაში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებებისათვის ემზადება

გვ. 4

თბილისი სამხედრო წვრთნებს აპროტესტებს



## რა მზაკვრულ გეგმას ამზადებს სააკაშვილი?

გვ. 5



## ლეიბორისტები აქციებს იწყებენ

გვ. 2



## რა საფრთხეს გვიქმნის გიგანტური ჰესების მშენებლობა

გვ. 6

დავკარგავთ თუ არა მტკვარს



## საქართველოში „მაგთისატის“ პირველი თანამგზავრული ციფრული ტელემაუწყებლობა დაიწყება

ISSN 1987-9385

2 უამინდობის გამო სომხეთის 350 მოქალაქე ლუშეთშია გაჩერებული

5 ილჰამ ალიევმა ქართული საპარლამენტო დელეგაცია მიიღო

2 თბილისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პენსია 10 ლარით შემცირდა

5 სტუდენტები საქართველოს შრომის კოდექსს აპროტესტებენ

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ლეიბორისტები აქციებს იწყებენ

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტები სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ გზად მძლავრი საპროტესტო ტალღის აგორებას ხედავენ და მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ამ ფონზე ჩატარებული არჩევნები აიძულებს სააკაშვილს, დათმოს ძალაუფლება არჩევნების გზით.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ლეიბორისტები არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო ციკლს იწყებენ




და მოსახლეობას და პოლიტიკურ ძალებს ამ აქციებში შემოერთებისკენ მოუწოდებენ.

როგორც პარლამენტის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, 17 თებერვალს, 15 საათზე, ლეიბორისტული პარტიის ინიციატივით გაიმართება არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო აქცია.

– სისხლიანი რეჟიმი ამზადებს არჩევნების ფალსიფიცირებას. დიქტატორი მიხეილ სააკაშვილი არსად წასვლას არ აპირებს თუ დიდ სახალხო წინააღმდეგობას არ გადააწყდა. 17 თებერვალს, 15 საათზე, პარლამენტის წინ არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო დაუმორჩილებლობის აქციაზე ყველა უნდა გამოვიდეს. უნდა ყველამ გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი აქ მოსვლა გამარჯვებამდე მიგვიყვანს. არჩევნების მეორე დღეს არაფერი შეიცვლება და აზრი აღარ ექნება მიტინგების გამართვას, თუ დროზე არ დავახევინეთ მათ უკან. აქ უნდა მოვიდეს ხალხი, სადაც ქვეყნის ბედი გადაწყდება, – განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ლეიბორისტებმა არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო აქციები შარშან თბილისში დაიწყეს, გააგრძელეს ვაშინგტონში და უკვე 2012 წელს 17 თებერვლიდან პერმანენტულად გამართავენ აქციებს.

– საარჩევნო კანონი გაყალბების კოდექსია, საარჩევნო კომისიები სააკაშვლის ყურმოჭრილი მონები არიან. 73 მაჟორიტარი სააკაშვილის ხელის ბიჭია, რაც საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისთვის და ყველაფერი ეს თავიდან უნდა ავიცილოთ ყველამ ერთად, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

რაც შეეხება იმას, რომელ პოლიტიკურ ძალებს ელოდებიან პარლამენტის წინ დაგეგმილ აქციაში ლეიბორისტები, როგორც ნათელაშვილმა მიუთითა, აქციები ზეპარტიული იქნება და მნიშვნელობა არ ექნება, თუ რომელი პარტიები მივლენ აქციებზე.

# ანქვაბი ბაღაფშის ნათესავებს დაერია

თეა მარხვაიძე

აფხაზეთში კრიმინოგენური ვითარება უკიდურესად არის დაძაბული. ბოლო პერიოდში აქ რამდენიმე გახმაურებული მკვლელობა მოხდა. მკვლელობები და საქმის გარჩევები აფხაზეთში დიდ იშვიათობას არ წარმოადგენს. გასაკვირი ის გახლავთ, რომ ამ ფაქტებს ადგილი ანქვაბის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ აქვს. არადა აფხაზურმა საზოგადოებამ ის პრეზიდენტად სწორედ იმიტომ აირჩია, რომ წესრიგი მოენატრათ. ყველამ კარგად იცის, რომ ანქვაბი წესრიგის და სამართლიანობის მოყვარული ადამიანია. მან ეს თვისებები ჯერ კიდევ შს მინისტრად მუშაობის პერიოდში გამოავლინა. აფხაზურმა პრესამ მას პრეზიდენტად არჩევისთანავე შეარქვა „რკინის ალიკა". ამ სახელს პრეზიდენტი მთლად ვერ ამართლებს.

მისი პრეზიდენტად არჩევის დღიდან აფხაზეთში, როგორც უკვე ვთქვით, რამდენიმე გახმაურებული დანაშაული მოხდა. მოკლეს რამდენიმე ავტორიტეტული ფიგურა. მათ შორის ცნობილი ბოევიკი ვალმერ ბუთბა.

აფხაზეთში არ გამორიცხავენ, რომ ამ მკვლელობის უკან რუსეთი ანდა ადგილობრივი ხელისუფლება იდგეს. არძინბას პირადი მცველი აფხაზეთში ბევრს უქმნიდა პრობლემებს და ბევრთან იყო დაპირისპირებული.

ასევე ხმაურიანი იყო გალის რაიონში მომხდარი მკვლელობა. საუბარია აფხაზეთის მილიციის გალის რაიონის თანამშრომლის, 1984 წელს დაბადებული ვიტალი როდონაიას მკვლელობაზე.

ადგილობრივი პროკურატურის ცნობით, 9 იანვარს ღამის 2 საათზე გალის რაიონის სოფელ გაგიდაში, მალუზა ბიგვავას სახლში შეიჭრა ავტომატური იარაღით შეიარაღებული კომუფლირებულ ფორმაში ჩაცმული სამი ნიღბიანი პირი. ამ დროს ოჯახის პატრონის სიძე როდონაია, თავის ნათესავ ზურაბ ფიფიასთან ერთად ოთახში იმყოფებოდა. თავდამსხმელებმა ოთახიდან გაიყვანეს და საბუთები შეუმოწმეს როდონაიას, როდესაც დარწმუნდნენ მის აფხაზური „მილიციის" თანამშრომლობაში, ის თან წაიყვანეს. მოგვიანებით მისი გვამი ცეცხლსასროლი იარაღისაგან მიყენებული 11 ჭრილობით ბიგვავას სახლიდან 150 მეტრში იქნა ნაპოვნი. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია აგრეთვე ავტომატური იარაღის დაცლილი მასრები. გარდა ამისა, აფხაზური მხარის ინფორმაციით, გვამთან მისასვლელი გზა დანაღმული იყო.

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში კიდევ ერთი გახმაურებული მკვლელობა მოხდა. სოხუმის რაიონის სოფელ შრომასთან სამი რუსი სამხედროს ცხედარი აღმოაჩინეს.

უფრო ადრე აფხაზეთში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ტიპის აფეთქებებს. ქართველი ექსპერტების განმარტებით, ეს აფეთქებები აფხაზური კრიმინალური სამყაროს მიერ იყო მოწყობილი. მათი თქმით, ამით კრიმინალებმა ანქვაბი გააფრთხილეს.

ანქვაბმა ძალიან კარგად იცის, რომ ამ სამყაროსთან ბრძოლა ადვილი არ იქნება და ის მიზნის მისაღწევად ნელ-ნელა შეუდგა სიარულს.

ჩვენს მკითხველს კარგად ახსოვს, რა ამბები ატყდა აფხაზეთში პასპორტებთან დაკავშირებით.

გაირკვა ისიც, რომ გაუჩინარე-



ბული პასპორტები კრიმინალური ავტორიტეტების სახელზე იყო გაცემული. ამ ფაქტს ანქვაბმა რამდენიმე მაღალჩინოსანი გადააყოლა. თავად ავტორიტეტებს კი ბევრი ვერაფერი მოუხერხა.

გავრცელებული ინფორმაციით, კრიმინალები აფხაზეთში თავს ძალიან კარგად გრძნობდნენ. არადა, როგორც ამბობენ, ანქვაბმა მათ აფხაზეთის დატოვება მოსთხოვა.

მათ ანქვაბის შეგონება ყურად არ იღეს და ამ დღეებში შარშიც გაეხვივნენ. „ექსპერტთა კლუბის" ცნობით, აფხაზურმა ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს დააკავა ორი „კანონიერი ქურდი", რომლებიც კანონდარღვევით გაცემული აფხაზური „პასპორტების" გახმაურებულ საქმეში ფიგურირებენ.

გალის რაიონში დაკავებული არიან კრიმინალური ავტორიტეტები - 1965 წელს დაბადებული ჩირო შონია და 1956 წელს დაბადებული მურმან ლემონჯავა.

აფხაზეთის შსს მონაცემებით, დაკავების დროს მათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნდათ.

სოხუმის ინფორმაციით, სისხლის სამართლის საგამოძიებო სამმართველოს „გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზემოთ დასახელებული პირები „კანონიერი ქურდები" არიან და აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის შედეგად შედიან".

– ასეთი ცინიზმი მხოლოდ ღიმილს იწვევს, არა მარტო სიტყვების გამო „სახელმწიფო საზღვრის" შესახებ, არამედ – „შონიასა და ლემონჯავას ქურდული სტატუსი საყოველთაოდ იყო ცნობილი, ისევე, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე ქურდული სამყაროს მეფეთა პერიოდული ყოფნა, სადაც ისინი ქორწილებში თავისუფლად ქეიფობდნენ, – მიაჩნიათ „ექსპერტთა კლუბში".

ქართველი ექსპერტების მტკიცებით, ამ ორი პიროვნების დაკავება აშკარად პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

– ჩირო შონიასა და მურმან ლემონჯავას დაპატიმრება ეს აფხაზეთის შსს ჩვეულებრივი ოპერაცია კი არაა, არამედ ეს არის აფხაზური ხელმძღვანელობის მხრიდან გამოვლენილი პოლიტიკური ნება და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შონია არის აწ გარდაცვლილი აფხაზი „პრეზიდენტის" სერგეი ბაღაფშის ცოლის ნათესავი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მას კრიმინალურ სამყაროსაგან „მფარველობდა" და ხელს უწყობდა მის კარიერულ აღმასვლას, – ამბობენ ქართველი ექსპერტები.

ცნობისათვის, სერგეი ბაღაფშის მეუღლე გვარად შონია გახლავთ. ის წარმოშობით გალიდან არის.

# პარლამენტმა ფუნქცია დაკარგა

ნათია ხურცილავა

სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური პარტია აგრძელებს თავის პროტესტს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

პარტია „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა" ამჯერად საარჩევნო კოდექსში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში" შეტანილ ცვლილებებს აპროტესტებს.



აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზის" ერთ-ერთი წევრი აცხადებს, რომ ქვეყანაში ხელისუფლებამ კანონიერებისა და კანონის ცნება აბსურდამდე დაიყვანა.

პარტიის საერთაშორისო მდივანმა, თემურ მურვანიძემ, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ხელისუფლებამ ქართულ პოლიტიკაში ახალი პოლიტიკური ცენტრის გაჩენის შემდეგ არაერთი კანონი შეცვალა, რის შედეგადაც კანონიერების ცნება უკვე სრულ აბსურდამდე დაიყვანა.

პარტიის საერთაშორისო მდივნის განცხადებით, პოლიტიკურო პროცესები ქვეყანაში წარმოუდგენელია ასე გაგრძელდეს.

პარტიაში აცხადებენ, რომ ხელისუფლება ტოტალიტარიზმის მძიმე გზას დაადგა და აქედან გამოსავალს ვერ ხედავენ.

მურვანიძე აცხადებს, რომ დღეს საქართველოს პარლამენტი ნოტარიუსად არის ქცეული.

მურვანიძე მიიჩნევს, რომ პარლამენტმა ივანიშვილის საწინააღმდეგო კანონები მიიღო, რაც დემოკრატიის კია არა, ტოტალიტარიზმის ნიშანია.

მურვანიძის შეფასებით, 2011 წლის მიწურულს მიღებული კანონებით ხელისუფლებამ ფსევდო-დემოკრატიიდან სრულ ტოტალიტარიზმამდე ტრანსფორმაცია წარმატებით დაასრულა, რადგან პოლიტიკური ოპონენტების არდაშვების მიზნით ნოტარიუსად ქცეული პარლამენტის გამოყენება მხოლოდ ტოტალიტარული და დიქტატორული რეჟიმებისთვის არის დამახასიათებელი.

სალომე ზურაბიშვილის პარტიაში აცხადებენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, პოლიტიკური პროცესები მიუღებელ ზღვარს გადააბიჯებს.

პარტიის საერთაშორისო მდივნის განცხადებით, პოლიტიკური ოპონენტების არ დაშვება არჩევნებზე დიდ პრობლემებს შეუქმნის როგორც ქვეყანას, ისე მის იმიჯს და თავად ხელისუფლებას საერთაშორისო სარბიელზე.

## გრიგოლ ვაშაძემ ირანის ელჩი მიიღო

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მიიღო საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მაჯიდ სამადზადე საბერი.

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები.

მედიანიუსი

## უამინდობის გამო სომხეთის 350 მოქალაქე დუშეთშია გაჩერებული

საავტომობილო გზის კობი-გუდაურის მონაკვეთზე კვლავ ზვავსაშიშროებაა. ადგილზე მუშაობენ სპეციალისტები, რომლებიც ცდილობენ დაადგინონ რამდენად უსაფრთხო იქნება სამაშველო სამსახურის მიერ გზის გაწმენდის დაწყება. მაღალმთიან რეგიონებში ახლაც ძლირი ქარბუქია, სინოპტიკოსების ვარაუდით ხვალიდან ქვეყანაში კიდევ უფროა აცივდება.

გზის გაწმენდა მხოლოდ მლეთა-გუდაურის გზის მონაკვეთზე ხერხდება იმისათვის, რომ გუდაურში ამსვლელებს შეფერხებები არ შეექმნათ.

ჯვრის უღელტეხილზე კი გზის გაწმენდა ზვასაშიშროების მოხსნის შემდეგ დაიწყება.

,,როგორც კი დაგვრთავენ ნებას, რომ დავიწყოთ გაწმენდა, მაშინვე დავიწყებთ მუშაობას", – განაცხადა მცხეთა მთანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე გივი ამირხანაშვილმა.

სომხეთის 350 მოქალაქე კი კვლავ დუშეთში რჩება. ისინი გზის გახსნას ელოდებიან, რათა რუსეთის მიმართულებით გადადგილება შეძლონ. ტურისტული კომპანია, რომელსაც სომხეთის მოქალაქეები გადაყავდა, მათ სამშობლოში დაბრუნებაზე უარს აცხადებს. ტურისტები კი იძულებულნი არიან გამოდარებას ავტობუსებში დაელოდონ.

მედიანიუსი

## თბილისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პენსია 10 ლარით შემცირდა

,,ხალხი პარტიის" ლიდერის კობა დავითაშვილის განცხადებით, თბილისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია 10 ლარით შემცირდა.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ,,ხალხის პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, „ხალხის პარტიას" დაუკავშირდნენ შეზღუდული შესაძლებლობების პირის ოჯახის წევრები და აცნობეს, რომ იანვრის პენსია შემცირებული აიღეს, რაც გადამოწმების შემდეგ დადასტურდა.

„ინვალიდების პენსია დღეს შეადგენს 70 ლარს, როდესაც ასაკით პენსიონერების პენსია 100 ლარით განისაზღვრება. ასეთია დისპროპორცია და მეტიც, თუკი თბილისში ინვალიდებს, რომლებსაც მოაკლეს ეს 10 ლარი და ჯანდაცვის პოლისებს დაპირდნენ, დანარჩენ საქართველოში ინვალიდები სექტემბერში ვერ მიიღებენ მომატებულ პენსიას და ვერც ჯანდაცვის პოლისებს", – აღნიშნა დავითაშვილმა და დასძინა, რომ ეს ბოლო წვეთია იმ ხანგრძლივი და მრავალწლიანი დიკრიმინაციური პოლიტიკისა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ინვალიდების მიმართ ატარებს.

„ხალხის პარტიის" ლიდერმა ხელისუფლებას ინვალიდების დისკრიმინაციის შეწყვეტისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ინვალიდების ასაკით პენსიონერებთან გათანაბრება უნდა მოხდეს.

მისი თქმით, გაუგებარი და უსამართლოა, როდესაც ადამიანს, რომელსაც ჰქვია ინვალიდი და არის შრომისუუნარო, აძლევენ ბევრად ნაკლებ პენსიას, ვიდრე ადამიანს, რომელსაც შრომის უნარი კვლავ აქვს.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პაატა ზაქარეიშვილი: უგულავა და ბოკერია სააკაშვილს განუდგებიან

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი არ გამორიცხავს, ბოკერია–უგულავას გუნდი სააკაშვილს გამოეყოს. ამის მიზეზად კი საარჩევნო სიას ასახელებს, რომლის დაკომპლექტებას დიდი მნიშვნელობა ექნება, მით უფრო მაშინ, როდესაც წინ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებია.**

ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან:

*— ბატონო პაატა, თუ არ მიეცა ბიძინა ივანიშვილს საშუალება, რომ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, მისი მეუღლის ჩანაცვლება, როგორც ლიდერის, გამოიწვევს თუ არა რაიმე სახვაობას ივანიშვილის მხარდამჭერებში?*

— ჯერჯერობით, დღევანდელი კანონმდებლობით ივანიშვილს შეზღუდული აქვს პოლიტიკაში პირდაპირი მონაწილეობის უფლება. ის ჯერ კიდევ ვერ ღებულობს საქართველოს მოქალაქეობას. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ასე გაგრძელდეს. საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვიოს ყველა კანონი, გადალახოს ზნეობის ბოლო ზღვარი და ბიძინა ივანიშვილს არ მისცეს მოქალაქეობა. რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ხელისუფლების უგუნურებაზე. თავისი უგუნურებით კიდევ უფრო აღრმავებს კრიზისს მის წინააღმდეგ და უფრო მეტად ხდება მოწყვლადი ხელისუფლება. ამ ფონზე, ბუნებრივია, ივანიშვილი ძლიერდება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მან ვერ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. თუმცა, მაინც მაქვს იმედი, რომ ის მოქალაქეობას მიიღებს. ყველაზე უარესი ვარიანტიც რომ წარმოვიდგინოთ, კიდევ უფრო ძლიერდება ივანიშვილის ფრთა. უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს საპარლამენტო არჩევნებზე. სააკაშვილს ორი არჩევანი აქვს ან ივანიშვილს მისცეს მოქალაქეობა და ამით დაამშვიდოს თავისი მომხრეები, რადგან მისი მომხრეებიც კი უხერხულად გრძნობენ თავს.

*— რატომ?*

— რადგან ხედავენ, რომ დიდ უსამართლობას აქვს ადგილი. ყაზახებს აძლევს მოქალაქეობას, რუს დირიჟორს მისცა მოქალაქეობა. ამ დროს ივანიშვილს არ აძლევს. კაცი, რომელიც ასეთი ქველმოქმედია და ამდენს ეხმარებოდა საქართველოს, ამდენი წლის განმავლობაში მთავრობას ეხმარებოდა. პირველ რიგში ხელისუფლებას, პოლიციას და არმიას. ამ ფონზე მას არ აძლევენ საქართველოს მოქალაქეობას. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აგდებს თვით ამომრჩეველს, სააკაშვილის ამომრჩეველსაც კი. სააკაშვილს იმდენად ახრჩობს ბოღმა, რომ ვერ ლახავს გონების საზღვარს და ჩარჩენილია პარანოიაში. თუ მან არ მისცა ივანიშვილს მოქალაქეობა, რა თქმა უნდა, ივანიშვილის პოზიციები ძლიერდება და უფრო მეტ ხალხს შეიყვანს პარლამენტში და უფრო ძლიერ პარტიასაც შექმნის ამ ფონზე, ვგულისხმობ სააკაშვილის არაკონსტრუქციულობის ფონზე. ამ ფონზე მისი მეუღლის, ეკა ხვედელიძის პოზიციები ძლიერდება.

*— ივანიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მისი გვარის დაფიქსირებას დიდი მნიშვნელობა აქვს...*

— პოლიტიკურად გამართლებულია. ხალხს ახსოვს ივანიშვილი. ხვედელიძე შეიძლება ბევრმა ვერც აღიქვას უცებ. ვერ დაიმახსოვროს კარგად და ჩათვალოს, რომ ეს ის არ არის, რაც მას უნდოდა. ივანიშვილის გვარი წლების განმავლობაში ჟღერს, მაშინაც კი, როდესაც ის არ ჩანდა. დღევანდელი საზოგადოების ცნობიერებაში ივანიშვილი ჩამჯდარია ზოგისთვის - უმრავლესობისთვის დადებითად, უმცირესობისთვის - უარყოფითად, მაგრამ ეს გვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუშაობს. ხვედელიძე უცებ ვერ დაიკავებს ამ ადგილს. ივანიშვილს ვერ ჩაანაცვლებს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ პოლიტიკურად აბსოლუტურად გამართლებულია. ტაქტიკურად სწორი ნაბიჯია, როდესაც ამ გვარით შემოდის პოლიტიკაში ეკა ხვედელიძე.

*— თქვენ ამბობთ, რომ იმედი გაქვთ, სააკაშვილი ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემს. თუ ეს ასე არ მოხდა, იმ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან გაცემული ავანსები ხომ არ გაფერმკრთალდება, რომ ივანიშვილმა დანაპირები ვერ შეასრულა?*

— არა, პირიქით მოხდება. ქართველი საზოგადოება გონიერი საზოგადოებაა და მიხვდება, რომ სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რათა ივანიშვილისთვის განვითარების გზა არ მიეცა. ე.ი. მას ივანიშვილის ეშინია, რაღაც არის, რის გამოც მას ივანიშვილის უნდა ეშინოდეს. როდესაც სააკაშვილი თვითონ არაპოპულარულია, ქვეყანაც კატასტროფისკენ წაიყვანა, ტერიტორიები დაკარგა, სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯი შეულახა, არავინ არ გველაპარაკება ამ ფონზე, ამას ემატება ეკონომიკური სიდუხჭირე, სიღარიბე უფრო ძლიერდება, ელიტა კი ხალხის ხარჯზე მდიდრდება. ეს ყველაფერი თვალშისაცემია. ამ ფონზე, ბუნებრივია, ივანიშვილის პოზიციები გამყარდება და არა გაფერმკრთალდება. ყველას კარგად ეცოდინება, რატომ ვერ მოიპოვა თავისი ადგილი პოლიტიკაში ივანიშვილმა. ყველასთვის ნათელი იქნება, რომ ეს ვერ გააკეთა ივანიშვილმა სააკაშვილის დამსახურებით. აქედან გამომდინარე, სიმპათიები კიდევ უფრო გაიზრდება ივანიშვილის სასარგებლოდ.

*— საპარლამენტო სიის დაკომპლექტება ვისი პრეროგატივა იქნება ნაციონალურ მოძრაობაში? გიგა ბოკერია თუ ვანო მერაბიშვილი დააკომპლექტებს სიას პრეზიდენტის ხელმძღვანელობით?*

— რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში მაინც სააკაშვილი მიიღებს გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ის პირველ რიგში ანგარიშს მერაბიშვილს გაუწევს, რადგან მერაბიშვილზე სანდო მას არავინ არ ჰყავს.

*— არც გიგა ბოკერია?*

— არა, გიგა ბოკერია მისი მეტოქეა. ბოკერია პირველი ჰკრავს წიხლს, როგორც კი სააკაშვილის კრიზისი კრიტიკულ ზღვარს გადალახავს. სააკაშვილი, დარწმუნებული ვარ, რომ ბოკერიას ვერ იტანს, მაგრამ სხვა გზა არ აქვს.

*— რატომ არ აქვს სხვა გზა?*



— იმიტომ, რომ ბოკერია დასავლეთში დემოკრატიულობის იმიჯს უქმნის სააკაშვილს. ის ინგლისურენოვანია, კარგად ლაპარაკობს ინგლისურად და დასავლეთთან სწორი სიტყვები უნდა თქვას ლიბერალიზმზე, დემოკრატიაზე, განვითარებაზე. ბოკერია კარგი დემაგოგია და სააკაშვილს სჭირდება. ბოკერია საქართველოში არ არის პოპულარული, თორემ უცხოეთში უფრო მეტად არის პოპულარული.

*— სააკაშვილზე მეტად?*

— არა. სააკაშვილზე მეტად არა, მაგრამ უფრო პოპულარულია საზღვარგარეთ, ვიდრე საქართველოში. დასავლეთის მთავრობებში, შეერთებულ შტატებსა თუ ევროკავშირში, მას იცნობენ და მის მიმართ ნდობა არსებობს, როგორც სააკაშვილის გუნდის ლიბერალ-დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი, რომელიც ჩვენთვის არის ბლეფი, თვალთმაქცობა, თვალში ნაცრის შეყრა და ფარისევლობა, მაგრამ დასავლეთს ეს აწყობს. დასავლეთს ახლა საქართველოსთვის არ სცალია. ბოკერიასნაირი ხალხი თუ არსებობს სააკაშვილთან, მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი ნაკლებად იქნება უკონტროლო. მიაჩნიათ, რომ ბოკერიასნაირი ხალხი მას უფრო აკონტროლებენ, მაგრამ სააკაშვილისთვის ის მიუღებელია. ბოკერია არ არის იმდენად პოპულარული, რამდენადაც მისი გუნდიდან პოპულარულია უგულავა. ამიტომ, ბუნებრივია, ბოკერია უგულავაზე დადებს თავის ფსონს, რომ უგულავათი მათი გუნდი გადარჩეს. ამიტომ, არა მგონია, რომ ბოკერიას მიეცეს ნაციონალური მოძრაობის სიის ფორმირების უპირატესობა.

*— ვის ექნება უპირატესობა?*

— უპირატესობა მაინც მერაბიშვილ-სააკაშვილის ალიანსს ექნება. ბოკერიას რაღაც წილი მიეცემა. საკმაოდ სერიოზული ბრძოლა წავა, რამდენი უნდა მიიღოს ამ წილიდან, რომ სააკაშვილს არ მოუვიდეს ის, რაც ბურჯანაძესთან მოუვიდა. არ მისცა იმდენი კვოტა, რამდენიც ბურჯანაძეს უნდოდა და ის განუდგა. იმდენი არ უნდა მისცეს, რომ ბოკერიამ აკონტროლოს ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ არც იმდენად ცოტა, რომ ბოკერია განუდგეს. თუ ბოკერია დაკარგავს რესურსებს, მაშინ ურჩევნია კარი გაიჯახუნოს და ცალკე მეტი აიღოს, ვიდრე სააკაშვილი მისცემს.

*— პარლამენტის დაკომპლექტებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს კარგად იცის ბოკერიამ და შეიძლება ბურჯანაძის ვარიანტი მივიღოთ ბოკერიას შემთხვევაში?*

— ბოკერია ისე ვერ წავა ოპოზიციაში, როგორც ბურჯანაძე ან ნოღაიდელი წავიდა. უკვე გვიან არის. რა თქმა უნდა, ბოკერია და უგულავა განუდგებიან სააკაშვილს და სააკაშვილის მიმართ იქნებიან ოპოზიციაში, მაგრამ მათ ოპოზიცია აღარ მიიღებს. მათ შეუძლიათ შანსი დაიტოვონ, მეტი მიიღონ ცალკე ყოფნით, ვიდრე სააკაშვილთან ყოფნით. ბოკერია უფრო ნაკლებად არის პოპულარული, ვიდრე ბურჯანაძე. ამიტომ მას ახალ რეალობაში გამარჯვების შანსები მინიმუმზე მინიმუმი ექნება. მას მოუწევს სააკაშვილის უმსგავსოებები შიგნით ითმინოს.

*— საუბრები იყო, რომ ალასანია ხშირად მართავს მოლაპარაკებებს ბოკერიასთან. მახსოვს განცხადებაც, ვინც წამოვა ნაციონალური მოძრაობიდან, მას მიესალმებიან.*

— მაგრამ ეს ივანიშვილამდე ხდებოდა.

*— ახლა სიტუაცია შეცვლილია?*

— მე არასდროს არ ვიყავი მომხრე, რომ ბოკერიასნაირ ხალხთან ყოფილიყო ალიანსი. ვიცი ასეთი განწყობა იყო რესპუბლიკურ პარტიაში, როდესაც ჩვენ და ალასანია ერთად ვიყავით, იქ დაუშვებელი იქნებოდა ბოკერიასნაირ ვაიპოლიტიკოსებთან ალიანსი, მაგრამ ალიანსის დაშლის შემდეგ არ არის გამორიცხული, რაღაც მოლაპარაკებებს ჰქონოდა ადგილი. ჰიპოთეტურად ამას არ გამოვრიცხავ.

*— გამორიცხავთ, რომ არჩევნების წინ ბოკერია–უგულავა სააკაშვილის გუნდს გამოეყოს? გვახსოვს მოქალაქეთა კავშირი, რომელსაც თავის დროზე სააკაშვილი-ჟვანია გამოეყო.*

— ჰიპოთეტურად ეს შეიძლება მოხდეს, მაგრამ როდესაც ჟვანია–სააკაშვილის გუნდი შევარდნაძისაგან მოდიოდა, ისინი პოპულარულები იყვნენ, საზოგადოებაში ასეთი მოთხოვნილებაც კი იყო. მათ იცოდნენ, რომ პოპულარობა მოემატებოდათ, ბოკერიას შემთხვევაში პირიქით არის.

*— უგულავას შემთხვევაში?*

— სააკაშვილს რაღაც ექნება უგულავას წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი, იმდენად ბოროტია. ივანიშვილისაგან განსხვავებით, უგულავა შეიძლება ციხეშიც კი ჩასვას. მერია და უამრავ რაღაცას ამოუქექავენ. სააკაშვილს უგულავა დაჭერილი ჰყავს. სააკაშვილ-უგულავა-ბოკერიას გუნდს შორის დაპირისპირება იქნება, მაგრამ საჯარო არ გახდება, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ თუ მათ პარლამენტში წარმატებას მიაღწიეს (რაც არ უნდა დავუშვათ), მაშინ შიგნით წავა ბრძოლა, ვინ უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი. უგულავა ერთ-ერთი ფიგურა იქნება, სააკაშვილმა შეიძლება ბაქრაძე წამოაყენოს. თუ უგულავა ვერ გავა, მაშინ დაძაბულობა პიკს მიაღწევს და ბოკერია–უგულავა სააკაშვილს გამოეყოფა.

# რატომ მომრავლდნენ ქუჩებში იარაღიანი თავდამსხმელები

## ბოლო რამდენიმე დღის კრიმინალური ქრონიკა მერაბიშვილის პროპაგანდას ეჭვქვეშ აყენებს

შალვა ჯოხაძე



შინაგან საქმეთა სამინისტროს პროპაგანდის ფონზე, რომ დედაქალაქში და მთლიანად საქართველოში კრიმინალის მაჩვენებელი იკლებს, წელი აშკარად მძიმედ დაიწყო. ლამის დღე არ გადის, რომ მორიგი შეიარაღებული თავდასხმის შესახებ არ გავრცელდეს ინფორმაცია. გუშინ თბილისის ცენტრში, საკუთარი სახლის ეზოში კიდევ ერთი ახალგაზრდა დაჭრეს. ჯერჯერობით უცნობმა პირმა გიგი ხოჭოლავას ტელეფონზე დაურეკა და გარეთ გასვლა სთხოვა. მეზობლებმა გასროლის 5 ხმა გაიგონეს. 24 წლის ხოჭოლავას 2 ტყვია მუცელში მოხვდა.

შემთხვევა ყაზბეგის გამზირზე მოხდა. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილს გვიან ღამით გადაუდებელი ოპერაცია რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩაუტარდა. ექიმების თქმით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

შემთხვევის ადგილზე რამდენიმე საათის განმავლობაში ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

მძიმე დანაშაული მოხდა გლდანშიც. ოჯახური კონფლიქტის დროს აქ 29 წლის დენის ნიგმატულინმა დედა ბასრი იარაღით დაჭრა. კონფლიქტს ოჯახის დანარჩენი წევრებიც შეესწრნენ. მათ ნასვამი დენისი კიბიდან დააგორეს, რის შედეგადაც ის კიდურების მოტეხილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ნიგმატულინის დედაც საავადმყოფოშია მოთავსებული. ოჯახური კონფლიქტის მიზეზებს გამოძიება ადგენს.

გუშინვე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოსა და ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად დედაქალაქში ყაჩაღობის ბრალდებით 30 წლის კახაბერ კალანდაძე და 27 წლის გიორგი გოგუაძე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, წელს 12 იანვარს ოზურგეთში ეს პირები ნიღბებითა და ცეცხლსასროლი იარაღით რუსუდან სიმონიშვილის ოჯახს ყაჩაღურად დაესხნენ თავს. მათ მუქარისა და ფიზიკური ზეწოლის შედეგად 3000 ლარი, 1100 აშშ დოლარი, 10000 რუსული რუბლი და ოქროს ნივთები გაიტაცეს.

საქმესთან დაკავშირებით ასევე დაკავებულია 27 წლის კარლო შავიშვილი, რომელიც გატაცებული ნივთების რეალიზაციას ახდენდა. პოლიციის მიერ ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულია აღნიშნული ფულადი თანხის ნაწილი და ოქროს ნაკეთობები.

სამივე დაკავებული აღიარებს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მიმდინარეობს ყაჩაღობისა და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის ან გასაღების მუხლებით.

ორიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია კიდევ ორი დანაშაულის შესახებ, რომლებიც ასევე წელს მოხდა. გაირკვა, რომ 2 იანვარს თბილისში, შანიძის ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი გარჩევის საქმე გახსნილია. სამართალდამცავებისთვის უკვე ცნობილია ეჭვმიტანილის ვინაობა, რომელმაც ახალგაზრდები ჩაცხრილა. პოლიცია 23 წლის გიორგი შენგელიას ეძებს, რომელსაც, სამართალდამცავთა მონაცემებით, მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე ნადირაძესთან და მის მეგობრებთან კამათი მოუვიდა. კამათი ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. პოლიციის ინფორმაციით, შენგელია კორკოტაშვილს ბინასთან რამდენიმე საათს ელოდა. სახლთან გამოჩენისთანავე შენგელიამ ცეცხლი გახსნა, რის გამოც სასიკვდილოდ დაიჭრა ნადირაშვილი და მძიმე იყო კორკოტაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

გიორგი შენგელიას სამართალდამცავები განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით ეძებენ. შეგახსენებთ, რომ 2 იანვარს მომხდარი სისხლიანი გარჩევის შედეგად გიორგი ნადირაძე რამდენიმე დღეში გარდაიცვალა, ვაჟა კორკოტაშვილი კი შინ მკურნალობს.

14 იანვარს სისხლიანი გარჩევა კახეთში მოხდა, რომელიც უკვე გახსნილია. სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი სიმონ ბეშიტაშვილი დააკავეს. მან ზაზა იუკურიძეს სანადირო თოფით ჭრილობა მუცლის არეში მიაყენა.

„იმედის" ინფორმაციით, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე კრიტიკულია. პაციენტი კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება. შემთხვევა დედოფლისწყაროში მაშინ მოხდა, როცა ახალგაზრდები ცხვარს მწყემსავდნენ.

შელაპარაკება ძაღლის ლეკვზე წამოწყებულ დავას მოჰყვა. დანაშაულის დამალვის მიზნით დამნაშავემ 20 წლის დაჭრილი ბიჭი შემთხვევის ადგილიდან, ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით დატოვა, რის გამოც დაზარალებულის დედოფლისწყაროს კლინიკაში გადაყვანა მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა. მდგომარეობის დამძიმების გამო პაციენტის თბილისში გადმოყვანა გახდა საჭირო.

2012, 18 იანვარი №14

# რუსეთი კავკასიაში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებებისათვის ემზადება

## თბილისი სამხედრო წვრთნებს აპროტესტებს

თეა მარჩვაიძე

რუსეთი კავკასიაში ფართომასშტაბიან წვრთნებს იწყებს. ასეთი წვრთნები ჩვენში ცუდად აქვთ დაცდილი. საქართველოს ხელისუფლება და ექსპერტები ამ ღონისძიების გამო შეშფოთებული არიან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მიერ 2012 წლის სექტემბერში, ჩრდილოკავკასიაში დაგეგმილ სამხედრო სწავლებებს, მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციის მცდელობად აფასებს.

საგარეო უწყების ინფორმაციით, 2011 წლის დეკემბერში მოსკოვში აკრედიტებულ სამხედრო ატაშეებთან შეხვედრის დროს, რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსმა ნ. მაკაროვმა განაცხადა, რომ 2012 წლის სექტემბერში დაგეგმილია სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო სწავლებების „კავკასია 2012" ჩატარება.

ამასთან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წყაროების თანახმად, წინა წლებისგან განსხვავებით „სწავლებები ჩატარდება არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქში, არამედ სომხეთში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში". წვრთნებში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა სახეობის ძალები, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების ფედერალური სამსახურის საგანგებო ვითარებათა სამინისტროსა და დაცვის ფედერალური სამსახურის ძალები და სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. დაგეგმილია დაზვერვისა და კავშირის ყველა სახეობის საშუალებების – ელექტრონული, კოსმოსური, აგრეთვე უპილოტო საფრენი აპარატებისა და მაღალი სიზუსტის იარაღის გამოყენება.

საქართველოს საგარეო უწყების შეფასებით, რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამალებულ მილიტარიზაციას, ავითარებს სამხედრო ინფრასტრუქტურას და შემოჰყავს შეტევითი ხასიათის შეიარაღება, ცდილობს რა პერმანენტული დაძაბულობის პროვოცირებას საქართველოში და მთლიანად შავი ზღვის რეგიონში.

– საერთაშორისო თანამეგობრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა არ შეცვლილა. იგი აგრძელებს აგრესიულ ქმედებებს, მათ შორის სამხედრო ძალის დემონსტრირებას და პროვოკაციებს.

რუსეთი წარმოადგენს დესტაბილიზაციისა და ნეგატიური მოვლენების წყაროს საერთაშორისო არენაზე, – ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

რუსეთის მიერ დაგეგმილ სამხედრო წვრთნებს „ექსპერტთა კლუბიც" ეხმიანება. მათ ეს წვრთნები 2008 წლის ზაფხულში ჩატარებულ სამხედრო წვრთნებს აგონებს. რომელიც საქართველოსთვის მაშინ ძალიან ცუდად დასრულდა.

– სპარსეთის ყურეში ვითრების დაძაბვასთან ერთად სიტუაცია საქართველოს ირგვლივაც რთულდება. რუსეთი აშშ-ს მხრიდან ირანზე სამხედრო იერიშის შესაძლო მიტანას ამოფარებული საქართველოს ირგვლივ სამხედრო რკალს კრავს და მაქსიმალურად აძლიერებს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის მიერ ჯერ კიდევ შარშან სამხრეთ ფედერალურ ოლქში 2012 წლის დასაწყისისათვის დაგეგმილი ოპერატიულ-ტაქტიკური სამხედრო წვრთნების სტატუსი იზრდება და იგი სტრატეგიული სწავლებების რანგში გადადის, რომელშიც რეგიონში დისლოცირებული ყველა საჯარისო შენაერთი, ძალოვანი და სპეცსამსახურების სტრუქტურები იქნება ჩართული. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული გამოცემა ავრცელებს. სწავლებებს უხელმძღვანელებს „სამხრეთი"-ს სტრატეგიული მეთაურობა, რომელსაც რეალური სამხედრო მოქმედებების პერიოდში ყველა აღნიშნული უწყება დაექვემდებარება, – აცხადებენ ქართველი ექსპერტები.




მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღით ადრე აშშ-მ და ისრაელმა რეგიონში ვითარების უკიდურესად დაძაბვის თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილ რაკეტსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინაღო ჯარების ერთობლივ წვრთნებზე უარი განაცხადეს, რუსეთის გენშტაბის განცხადებით, მათ მიერ დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სტრატეგიული წვრთნები მიანც ჩატარდება. ამასთან, როგორც რუსულ გამოცემას გენშტაბში უთხრეს, „ზოგიერთი რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-სა და ირანს შორის სამხედრო დაპირისპირებაში თითქოს რუსეთი არ გამორიცხავს საკუთარ მონაწილეობას, უსაფუძვლო და აბსურდულია". მაგრამ ამავე დროს აღნიშნეს, რომ ჯარები სრულ მზადყოფნაში უნდა იყვნენ მოვლენების ნებისმიერი სცენარით განვითარებისათვის, რაც რუსეთის მოკავშირეების მიმართ შესაძლო საფრთხეებთან არის დაკავშირებული.

– დავუშვათ, რომ ირანის ირგვლივ ატეხილ ხმაურს ამოფარებული საქართველო სამხრეთ ოსეთში შეიჭრას, ან აფხაზეთის ნაწილის ოკუპაცია ისევ შეეცადოს. ან კიდევ აზერბაიჯანმა და სომხეთმა ყარაბახისათვის ბროლის მიზნით ისევ განაახლონ საბრძოლო მოქმედებები. სტრატეგიული სწავლებების დროს მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევებიც იქნება დამუშავებული, – განაცხადეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბში.

ქართველ ექსპერტებს ეს ყველაფერი 2008 წელს ჩატარებულ სამხედრო წვრთნებს აგონებს.

– უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებული სამხედრო ინტერვენციამდე, რომელსაც 20% საქართველოს სახმელეთო ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა, რუსეთი ასევე ინტენსიურად მართავდა სხვადასხვა სახის სამხედრო წვრთნებს საქართველოს საზღვრებთან და უშუალოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჯერ კიდევ მაშინ სეპარატისტულ რეგიონებში. ამ წვრთნების ჩატარების შემდეგ კი, სამხედრო შენაერთები იქვე რეგიონში რჩებოდნენ.

ასევე აღსანიშნავია, რომ რუსეთს საქართველოს მიმართ პოლიტიკა არ შეუცვლია და ჯერ კიდევ მისი სრული ოკუპაციის იდეით არის შეპყრობილი. ამიტომ კრემლის მხრიდან სამხედრო ხასიათის მანევრების ასეთი მასშტაბების ჩატარება რეგიონში დესტაბილიზაციის გამომწვევ ძლიერ ფაქტორს, ხოლო საქართველოსთან მიმართებაში კი მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულ პირდაპირ მუქარას წარმოადგენს, – მიაჩნიათ „ექსპერტთა კლუბში".

რუსულ წვრთნებს საქართველოს პარლამენტშიც გამოეხმაურნენ. განგაშის ზარებს რუსეთის დიდმა მოწინააღმდეგემ აკაკი მინაშვილმა შემოჰკრა.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილის შეფასებით, რუსეთის მიერ „კავკაზ 2012" წვრთნების ჩატარება და მისი აგრესიული მოქმედებები, კონტრპროდუქტიული თავად რუსეთისთვისაა.

როგორც ჟურნალისტებს მინაშვილმა განუცხადა, სამწუხაროდ, რუსეთი, საკუთარ შეცდომებზე ვერ სწავლობს, რაც მათთვის ცუდის მომტანია.

მისი თქმით, აგრესიული მოქმედებების მიუხედავად, ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ რუსეთის შიგნით ძალიან ბევრი პრობლემაა, მათ შორის ეკონომიკური და პოლიტიკური, რის გამოც, რუსეთის მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს.

– რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკას თუ არ შეცვლის, პრობლემებს თავის თავს შეუქმნის, – განაცხადა მინაშვილმა.

დეპუტატი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ კრემლის მოქმედებებს, საქართველოს მეგობარი სახელმწიფოები აკვირდებიან. და ამის გამო რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ ღია აგრესიას ვერ გაბედავს.

– სამხედრო აგრესიის მყისიერი საფრთხე არ არსებობს, მაგრამ იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც რუსეთს გააჩნია, ყველა ჩვენი მეგობარი რუსეთის მოქმედებას აკვირდება. ნებისმიერი ასეთი აგრესიული გამოხტომა საზიანო რუსეთის ფედერაციისთვის იქნება, კერძოდ, თავს ეკონომიკურად სავალალო მდგომარეობაში ჩაიგდებენ, – დასძინა მინაშვილმა.

# რატომ ბლოკავს გუბაზ სანიკიძეს ირაკლი ალასანია?

ქეთი ხომერიკი

საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილის პარტია იანვრის ბოლოს, ან თებერვლის დასაწყისში შეიქმნება. პარტიას ივანიშვილის მეუღლე ეკატერინა ხვედელიძე ქმნის და საპარლამენტო არჩევნებშიც აპირებს მონაწილეობის მიღებას. ხვედელიძე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას დაჩქარებული წესით ითხოვს, მიზეზი კი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაა, რაც ორ შემთხვევაშია შესაძლებელი. პირველი – თუ განაჩენს წაგებული მხარე, ანუ პრეზიდენტი ორ ზემდგომ ინსტანციაში არ გაასაჩივრებს. და მეორე – თუ სასამართლო ბიუროკრატიულ დეტალებს შეგნებულად 2012 წლის ბოლომდე არ გაწელავს. აი, ეს თუ ასე მოხდა, მაშინ აზრი ხვედელიძის მოქალაქეობას აღარ ექნება, რადგან არჩევნებამდე იგი პარტიის დარეგისტრირებასა და საარჩევნო კამპანიის წარმოებას ვერანაირად მოასწრებს. გაასაჩივრებს თუ არა პრეზიდენტ სააკაშვილი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და შეიქმნება, თუ არა ივანიშვილის პარტია ბოლოს და ბოლოს, ამას სულ მალე ვნახავთ. ივანიშვილის პარტიის დაფუძნებას მოუთმენლად ელოდებიან ივანიშვილის პარტნიორებიც, რადგან ამ სანატრელი პარტიის დაარსების შემდეგ ,,ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები'', ,,რესპუბლიკელები'', ,,კონსერვატორები'' და ,,ხალხის პარტია'' კოალაციას შექმნიან, რომელსაც ,,ქართული ოცნება'' ერქმევა, თუმცა ,,ქართული ოცნება'' შესაძლოა არა ხუთსუბიექტიანი, არამედ, მეტი თუ არა, ექვსუბიექტიანი მაინც იყოს. კონკრეტულად კიდევ რომელ ოპოზიციურ ძალებს ვიხილავთ ამ გაერთიანებაში, ჯერჯერობით, არ ვიცით, ამჯერად ჩვენთვის ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ ივანიშვილი და მისი პარტნიორი ალასანია აქტიურ კონსულტაციებს ,,ეროვნული ფორუმის'' ლიდერ კახა შარტავასთან აწარმოებენ. ასე რომ, სხვა ოპოზიციური ძალების არ ვიცით, მაგრამ ფორუმი შესაძლოა ვიხილოთ კიდეც ახალ კოალაცია ,,ქართულ ოცნებაში'', დიახ, შესაძლოა, რადგან აქ ცოტა რთულად ყოფილა საქმე.



ინფორმირებული წყაროს ცნობით, ივანიშვილსა და ალასანიას კახა შარტავასთან კი, მაგრამ გუბაზ სანიკიძესთან ერთ კოალაციაში ყოფნა არ სურთ. არადა, როგორია, გუბაზი ხომ ,,ეროვნული ფორუმის'' ერთ-ერთი ლიდერი და შარტავას მარჯვენა ხელია. აი, ეს არის თურმე ის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ,,ფორუმელებისა'' და ახალი კოალაციის პოლიტიკური ქორწინება აქამდე ვერა და ვერ გაფორმდა და გაფორმდება თუ არა საერთოდ დანამდვილებით, არც ამის თქმა შეგვიძლია. გუბაზი წავა ,,ფორუმიდან'', შარტავა დატოვებს პარტიის რიგებს, თუ როგორ იქნება ეს ამბავი, ვერ გეტყვით. რაც შეეხება თავად ,,ეროვნულ ფორუმში'' შექმნილ მდგომარეობას. პარტიიდან წევრების გადინების პროცესი სხვადასხვა პარტიებსა, თუ სამოქალაქო მოძრაობებში უკვე დაწყებულია, აქტიურად მიმდინარეობს თურმე. ჩვენი წყაროს თქმით, ,,ეროვნული ფორუმი'', ფაქტობრივად, დაშლის საფრთხის წინაშე დგას, თუ უკვე დაშლილი არ არის.

მკითხველი იკითხავს რას ერჩის ალასანია-ივანიშვილის დუეტი გუბაზ სანიკიძესო, და მართლაც რას ერჩის, რა დაუწუნეს გუბაზს? ბოროტი ენების თქმით, ალასანია გუბაზს არ ენდობა, მისი ინფორმაციით, სანიკიძე მერაბიშვილთან ჩახუტებულია. სატელიტი პარტიებისა და ხელისუფლებასთან გარიგებული პერსონების ადგილი ივანიშვილის გუნდში არ არის.



სხვათა შორის, ალასანიასა და სანიკიძეს შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ ექვსიანის ფორმატში არსებული მოლაპარაკებების დროს დაიძაბა, კულუარებში მიზეზად მაშინაც ალასანიას გუბაზის მიმართ არსებული არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება სახელდებოდა. ასე რომ, ,,ფორუმი'' გუბაზის გარეშე, თუ შარტავა ,,ფორუმის'' გარეშე შეუერთდება ივანიშვილის კოალაციას, ამასაც მხოლოდ დრო გვანახებს.

ივანიშვილის გუნდში დიდი ფუსფუსი ყოფილა, ყველა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ჩამოსვლას ელოდება, რადგან კლინტონი მნიშვნელოვანი მესიჯებით ჩამოდის თურმე. საინტერესოა, ასეთი რა მესიჯებია, ამხელა მოლოდინი, რომ გამოიწვია? ივანიშვილის გარემოცვიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, კლინტონის სააკაშვილისადმი მთავარი გზავნილი ,,წადი'' იქნება. ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები და მოხდეს ხელისუფლების გადაბარება, დაახლოებით ამ შინაარსის საუბარი შედგება სააკაშვილსა და კლინტონს შორის. კლინტონის ვიზიტს დიდის ამბით, რომ ელის ივანიშვილის გუნდი, ეს იგივე ალასანიას ჩვენთან საუბარშიც არაერთხელ უთქვამს. ჰილარი კლინტონი კი ჩამოდის ამ გზავნილებით და ალასანია-ივანიშვილის დუეტს უჭერს მხარს, მაგრამ რა ჭკუაზეა სააკაშვილი და რა პასუხებით დახვდება, კაცმა არ იცის. ყოველ შემთხვევაში, ეს კაცი უკვე ჩემოდნებზე ზისო, ვერ ვიტყვით, პირიქით, ბოლო პერიოდია, ტელეეკრანებიდან არ ჩამოდის, აქეთ-იქით დადის, აღარ იცის ხალხის გული როგორ მოიგოს და სადმე წამსვლელს ჰგავს ახლა, ეს ადამიანი? თანაც, ჰილარი კლინტონისგან განსხვავებით ჩვენი წყაროს თქმით, დაახლოებით 6 ამერიკელი სენატორის მხარდაჭერა ჰქონია, რაც ბევრი თუ არა, ცოტა ნამდვილად, არ არის. ჩვენი წყარო იმასაც გვეუბნება, რომ სწორედ კლინტონის გამგზავრების შემდეგ გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ. მართალია, პრეზიდენტმა ოფიციალურად გამოაცხადა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ოქტომბერში ჩატარდებაო, თუმცა ეს დიდად არაფერს ცვლის. არ დასჭირდეს თორემ ისე გადათქვამს, როგორც დაგიბარებია. მე შენ გეტყვი ჯერ სიტყვა არ გაუტეხავს, პირველი იქნება, თუ რა. ისე, არც ახლა ზის თურმე სააკაშვილი და მისი გუნდი გულხელდაკრეფილი – ივანიშვილის წინააღმდეგ არაერთ გეგმას ამუშავებენ. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილი ივანიშვილისთვის და მისი რჩეული ალასანიასთვის მორიგი დარტყმის მისაყენებლად ემზადება.

# „ჩვენი მწერლობის" დარბაზში ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბის შეხვედრა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" დარბაზში ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბის შეკრება გაიმართა. კლუბის წევრები ახალგაზრდა პოეტებს: ბიჭი ივანიშვილს, რეზი ქინქლაძეს და მუსიკოსსა და კინოს მხატვარ ნიკოლოზ გურასპაშვილს შეხვდნენ და სასურველი კითხვები დაუსვეს. ახალგაზრდა შემოქმედებმა თავიანთი ლექსები წაიკითხეს და საკუთარ შემოქმედებაზეც ისაუბრეს.

როგორც „მედიანიუსს" კლუბის დაარსების იდეის ავტორმა მანანა არველაძემ განუცხადა, კლუბი 2011 წლის გაზაფხულზე „ჩვენ მწერლობასთან" შეიქმნა. იგი 14-დან 20 წლამდე ასაკის მოზარდებს აერთიანებს. მისი შექმნის მიზანი ახალგაზრდების წიგნისაკენ შემობრუნებაა. კლუბის წევრები მათთვის სასურველ რესპონდენტებს ირჩევენ და იწვევენ. ამისათვის კი ისინი ამ რესპონდენტთა ბიოგრაფიას უნდა გაეცნონ და თავიანთი ნააზრევი გამოხატონ.

– კლუბის კარი ყველა იმ ახალგაზრდისათვის არის ღია, ვისაც შინაგანი ნიჭი აქვს და არ იცის, ეს ნიჭი სად გამოავლინოს. დღევანდელი შეკრება თოქ-შოუს სახით გამართული პირველი შეხვედრა იყო. ახალგაზრდები ამგვარი ღონისძიებების მოწყობას მომავალშიც აპირებენ, –- აღნიშნა მანანა არველაძემ.

მდიანიუსი

## ილჰამ ალიევმა ქართული საპარლამენტო დელეგაცია მიიღო

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ბაქოში ქართული დელეგაციის წევრებს შეხვდა. აზერბაიჯანში ვიზიტად მყოფ ქართველი პარლამენტარების დელეგაციას ფრიდონ თოდუა ხელმძღვანელობს. ალიევმა ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ხარისხს მაღალი შეფასება მისცა და ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში საპარლამენტთაშორისო კავშირებს მნიშვნელოვანი უწოდა. ფრიდონ თოდუამ შეხვედრაზე აზერბაიჯანის განვითარების ტემპი პოზიტიურად შეაფასა.

„როგორც ყოველთვის, ჩვენ ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები განვიხილეთ. ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული იყო. აზერბაიჯანი საქართველოსთვის სტრატეგიული პარტნიორია“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ თოდუამ. მისივე თქმით, იგი გრძნობს, რომ აზერბაიჯანი საქართველოს უახლოესი მეზობელი ყოველთვის იქნება.

ცნობისთვის: ქართული საპარლამენტო დელეგაცია ალიევამდე აზერბაიჯანელ კოლეგებსაც შეხვდა.

მედიანიუსი

## სტუდენტები საქართველოს შრომის კოდექსს აპროტესტებენ

სტუდენტური მოძრაობა „ლაბორატორია 1918“, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირებთან ერთად ქვეყანაში მოქმედ შრომის კოდექსს აპროტესტებს და მას „მონობის კოდექსს“ უწოდებს. როგორც გუშინ მეტროსადგურ „რუსთაველთან“ გამართულ აქციაზე მოძრაობის წევრმა სტუდენტებმა განაცხადეს, ამ კანონის 37-ე და 38 მუხლები დასაქმებულის დამონების, მისი ნებისმიერი მიზეზით დათხოვისა და დათხოვის მუქარით მანიპულირების საშუალებას იძლევა.

„ჩვენ მიუღებლად მიგვჩნია კოდექსი, რომელიც არ იცავს ადამიანის ფუნდამენტური უფლებას – ღირსეული შრომის უფლებას“, – აცხადებენ სტუდენტები.

როგორც მათ აღნიშნეს, ევროკავშირმა თუ მსოფლიო შრომის ორგანიზაციამ არაერთხელ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შეეცვალა მოქმედი შრომის კოდექსი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს, არ შეესაბამება ევროპის სოციალურ ქარტიას და ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებს, თუმცა ეს ამ დღემდე არ განხორციელებულა. გუშინ გამართული აქცია პირველი იყო, აღნიშული მოთხოვნით სტუდენტების საპროტესტო აქცია მომავალში სისტემატიურ ხასიათს მიიღებს.

მედიანიუსი

# რა მზაკვრულ გეგმას ამზადებს სააკაშვილი?

თამარ ნინიძე

ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო არჩევნებისთვის სერიოზულად ემზადება. სააკაშვილის მიერ რეგიონებში საავადმყოფოების გახსნა და სხვადასხვა სოციალური პროგრამები ამ სამზადისის მხოლოდ გარე ფასადია, მმართველი პარტიის შიგნით მუშაობაა გაჩაღებული. აკი აღიარა კიდეც სააკაშვილმა ერთხელ, ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა ჩვენთვის კარგია, ფორმაში ვიქნებითო. ფორმაში ყოფნა იმასაც გულისხმობს, რომ ნაციონალები დახურულ საარჩევნო კამპანიას აწარმოებენ. კონკრეტულად, რაში ვლინდება ეს მუშაობა? ნაციონალური არხებით გადაიცემა სააკაშვილის გადაადგილებები რაიონებში, ახალ-ახალი დაწესებულებების გახსნა, სოციალურად მიმზიდველი გეგმების გაპიარება, პარალელურად ნაციონალურ არხებს და ხელისუფლებისაგან კონტროლირებად სხვა მედია საშუალებებს აკრძალული აქვთ ნაციონალური მოძრაობის შიგნით სამუშაო რეჟიმის შესახებ ინფორმაციების გავრცელება. ყველაზე მეტად საზოგადოებას აინტერესებს, როგორი იქნება მმართველი პარტიის საარჩევნო სია, ვინ ჩაუდგება მას სათავეში, ვინ შევა ამ სიაში არა მხოლოდ ახალი სახეების თვალსაზრისით, არამედ ვის გაუღიმებს ფორტუნა ან ბოკერია და ვის გაუჩნდება ისევ გადეპუტატების შანსი. ამ ინფორმაციებს კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, სახელისუფლებო ტელეკომპანიები საერთოდ არ გადასცემენ. ისეთი ვითარებაა, რომ საარჩევნო კამპანიას მხოლოდ სააკაშვილი წარმართავს და სხვა არავინ. მის გვერდით ნაცმოძრაობის არც ერთი აქტივისტი არ ჩნდება.

მედია ექსპერტმა ია ანთაძემ ერთი ძალიან საგულისხმო და საინტერესო გეგმა გაშიფრა, ზუსტად ჯერ იმის თქმა ძნელია, რომ ეს გეგმა ნაციონალებში საბოლოოა და აღარაფერი შეიცვლება, თუმცა ყურადღების ღირსი მაინც გახლავთ. ია ანთაძემ მოსაზრება გამოთქვა, რომ სააკაშვილი პრეზიდენტობიდან გადადგება და ნაციონალების სიას სათავეში ჩაუდგება, რათა პარლამენტში მმართველი პარტია საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიყვანოს, თავად კი პარლამენტის თავმჯდომარე გახდეს. იმ ფონზე როცა ივანიშვილის პოლუსზე ლიდერების მიერ პოსტების დაკავების რეალობასთან ახლო მდგომი გეგმა პრესაში იხილება, კერძოდ კი, პრემიერად ივანიშვილი, პრეზიდენტად ალასანია და პარლამენტის თავმჯდომარედ უსუფაშვილი, საზოგადოების ყურადღება ახლა ნაციონალებისკენ არის მიმართული.



„ახალ თაობას“ სარწმუნო წყარომ საინტერესო ვარიანტები გაუმხილა. ნაციონალები პრესას არ კითხულობენ, კომენტარებისგანაც თავს იკავებენ, ამიტომ მათი პასუხი ყოველივე ამის შესახებ ისედაც ცხადია, რომ უარყოფითი იქნება. ისინი იმდენად ასაიდუმლოებენ თავიანთ გეგმებს, რომ ზუსტი გეგმის გაშიფვრის პირობებშიც კი ნებისმიერ ინფორმაციას უარყოფენ, რადგან ასეთი მითითება აქვთ ზემოდან. სააკაშვილი პრემიერ–მინისტრის პოსტს არ დაიკავებს, ამის შესახებ მან უცხოურ პრესასთან ინტერვიუშიც ისაუბრა, რომ პრემიერის პოსტი მისთვის მიმზიდველი არ არის და გრიგოლ ვაშაძემაც ლამის თავი დადო, რომ სააკაშვილი პრემიერი არ გახდება. ვინაიდან პრეზიდენტობის ვადაც ამოწურული აქვს, რჩება მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეობა და სავსებით შესაძლებელია ია ანთაძის მიერ ნაცების გაშიფრული გეგმა სწორი გამოდგეს.

სააკაშვილი და დავით ბაქრაძე პოსტებს გაუცვლიან ერთმანეთს, ბაქრაძე ნომინალური ფუნქციების მქონე პრეზიდენტი გახდება ანუ 2013 წლისთვის საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდება და, სავარაუ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# საქართველოში „მაგთისატის“ პირველი თანამგზავრული ციფრული ტელემაუწყებლობა დაიწყება

23 იანვრიდან საქართველოში „მაგთისატის“ პირველი თანამგზავრული ციფრული ტელემაუწყებლობა დაიწყება. მისი სიგნალის მიღება კი, „მაგთიკომის“ მობილური ტელეფონის მსგავსად, ქვევრშიც შესაძლებელი იქნება და მთაშიც. იმის გამო, რომ მაღალი ხარისხის ტელემაუწყებლობის მიღება რეგიონებში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს, თავდაპირველად კომპანია აქცენტს სწორედ რეგიონებზე გააკეთებს. მეტიც, „მაგთიკომში“ იმასაც აცხადებენ, რომ წლის ბოლომდე „მაგთისატს“ 50 ათასი აბონენტი ეყოლება.



საქართველოს სატელეკომუნიკაციო კომპანია „მაგთიკომმა“ დაSES-მა საქართველოში პირველი DTH ტელევიზიის პლატფორმის - „მაგთისატის“ ამოქმედების შესახებ განცხადება გუშინ გააკეთეს. პირველი ციფრული ტელევიზია კი, მაუწყებლობას „ასტრა“ თანამგზავრის მეშვეობით განახორციელებს.

SES-ისა და „მაგთიკომის“ გრძელვადიანი ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს პირველი ადგილობრივი DTH ტელევიზიის პლატფორმისათვის გამოიყენებაSES-ის რამდენიმე ტრანსპონდერი. მათი ორბიტული მდებარეობა შესაძლებელს გახდის მაუწყებლობის სწრაფ განვითარებას ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში და SD და HD მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. პლატფორმის ტექნიკური პარამეტრებია: სტანდარტი DVB-S2 და კოდირება MPEG 4.

„მოხარული ვარ, რომ მაგთიკომმა პირველი თ პლატფორმის ასამოქმედებლად სწორედ ჩვენ აგვირჩია. ეს შესაძლებელს გახდის ციფრულ თანამგზავრულ მაუწყებლობას მთელ საქართველოში. დარწმუნებული ვარ, რომ კავშირგაბმულობის სფეროში მაგთიკომის წარმატებული საქმიანობა და SES-ის გამოცდილება DTH ტელევიზიის გაშვებაში ხელს შეუწყობს ბაზარზე Pay-TV-ის პოპულარობის ზრდას.

„ამასთან, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს მივაწოდოთ ხარისხიანი სატელიტური მაუწყებლობა და ასევე, ბევრ ადამიანს ჰქონდეს ციფრული ტელევიზია. ამისათვის კი, ჩვენს კომპანიას ყველა ტექნიკური საშუალება გააჩნია. ჩვენ ვამაყობთ იმითაც, რომ SES-ის სიგნალი პირდაპირ ოჯახებში მიდის“, - აცხადებს „ასტრას“ კომერციული ვიცე-პრეზიდენტია ევროპის მიმართულებით, ფერეს სელეინი.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე SES-ი მომხმარებელს თანამგზავრის საშუალებით მსოფლიოში არსებულ 6 ათასამდე ტელე და რადიო არხის მაუწყებლობას სთავაზობს. კომპანია თანამგზავრული მაუწყებლობის წამყვანი ოპერატორია, რომელსაც 49 გეოსტაციონარული თანამგზავრი აქვს. იგი ფლობს და ოპერირებს „ასტრა თანამგზავრებს. სელეინის თქმით, SES-ის HD სიგნალს ერთ მილიონზე მეტი ადამიანი იღებს.

კომპანია მთელ მსოფლოში სთავაზობს თანამგზავრული კავშირგაბმულობის მომსახურებას მაუწყებლებს, კონტენტ და ინტერნეტპროვაიდერებს, მობილური და ფიქსირებული ქსელების ოპერატორებსა და ბიზნეს და სამთავრებო ორგანიზაციებს.

კომპანიის გლობალური თანამგზავრული ჯგუფი შედგება ტელეპორტების ქსელისაგან, რომლის საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ, დაუკავშირდნენ მსოფლიოს მოსახლეობის 99%-ს.

„DTH ტელევიზიის პლატფორმა საკმაოდ გავრცელებულია გერმანიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე მოთხოვნა მუდმივად მზარდია და შესაბამისად, ასეთი ტელევიზიაც საკმაოდ სწრაფად ფართოვდება. ამ ეტაპზე გვაქვს 49 თანამგზავრი, მიმდინარე წელს ვაპირებთ კიდევ 2 თანამგზავრის დამონტაჟებას. უკვე 2014 წლისთვის კი ვგეგმავთ, რომ თანამგზავრთა რაოდენობა კიდევ 8 ერთეულით გავზარდოთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ხალხს ჰქონდეს მაღალი ხარისხის ტელევიზია. ამას ვაკეთებთ სხვა ქვეყნებში და გვაქვს შესაძლებლობა, რომ იგივე საქართველოშიც განვახორციელოთ“, - აღნიშნა სელეინმა.

„მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის დევიდ ლიის განცხადებით კი, ასეთი ტიპის ტელევიზიის დანერგვა საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას დააჩქარებს.

„ვამაყობ ამ დღით, რადგან დღეს „მაგთიკომი“ მომხმარებელს ყველაზე განვითარებულ პროდუქტს სთავაზობს. ჯერ ერთი, რომ „მაგთისატის“ გაშვებით „მაგთიკომი“ საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას დააჩქარებს. მეორეც, DTH პლატფორმის დანერგვა უნიკალური შესაძლებლობაა, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობამ მიიღოს მაღალხარისხიანი ციფრული მაუწყებლობა. ეს ქვეყნის განვითარებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია“, - განაცხადა დევიდ ლიიმ.

როგორც „მაგთიკომის“ მარკეტინგის დირექტორმა, ირაკლი ლობჟანიძემ განაცხადა, „მაგთისატი“ მომხმარებლებს პირველ ეტაპზე 75 ტელეარხს შესთავაზებს, რომლებიც მოიცავს ყველაზე პოპულარულ როგორც სტანდარტულ, ისე მაღალი გარჩევადობის მქონე (SB, HD) არხებს. ტელემაუწყებლობა განხორციელდება „ასტრა თანამგზავრზე“, რომლის მფლობელია SES.

თანამგზავრული ტელემაუწყებლობის მისაღებად „მაგთიკომი“ მსურველებს გარკვეულ ფასად დაუმონტაჟებს მიმღებს და „მაგთისატის“ თეფშებს. მაგალითად, „მაგთისატში“ ჩართვის ერთჯერადი გადასახადი SD რესივერის (მიმღების) შემთხვევაში არის 60 ლარი, ხოლო რესივერის შემთხვევაში 100 ლარი. რესივერთან ერთად, აბონენტს დაუმონტაჟდება თანამგზავრული თეფში, როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური მაუწყებლობისთვის, რაც ძირითადად სასტუმროსთვისაა განკუთვნილი.

მომხმარებელს პირველ ეტაპზე კი შესაძლებლობა ექნება სამი პაკეტიდან ერთ-ერთი აირჩიოს: პირველი - სტანდარტული, რომლითაც შესაძლებელი იქნება სტანდარტული გარჩევადობისSB20 არხის ყურება, მეორე - ძირითადი პაკეტი, რომლითაც 70 არხის ნახვა იქნება შესაძლებელი და მესამე, HD პაკეტი, ანუ მაღალი გარჩევადობის 5 არხი. შესაბამისად ფასები იქნება - თვეში 10 ლარი, 35 ლარი და 15 ლარი.

„მაგთისატის“ თანამგზავრული ტელევიზიის დამონტაჟების სურვილის შემთხვევაში აბონენტს რეგისტრაციის გავლა შეეძლება როგორც „მაგთიკომის“ ოფისებში, ასევე ქოლცენტ - 1191-ისა და „მაგთიკომის“ ინტერნეტ-გვერდის საშუალებით.

ამასთან, ირაკლი ლობჟანიძის თქმით, „მაგთისატის“ თანამგზავრულ მაუწყებლობაში ქართული არხები ჯერ ჩართული არ არის. თუმცა, ყველა არხი, სურვილის შემთხვევაში, „მაგთისატში“ აუცილებლად ჩაერთვება.

„ჩვენს პაკეტებში ამჯერად არც ერთი ქართული არხი არ არის ჩართული, თუმცა მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები და იმედია, რომ მალე მათი ჩართვაც მოხდება“, - განაცხადა ლობჟანიძემ.

მისივე თქმით, „მაგთისატის“ მომსახურების უპირატესობა სხვა საკაბელო ტელევიზიებთან შედარებით ის არის, რომ მომხმარებელს სთავაზობენ მსოფლიო დონის არხებს, სტაბილურ სიგნალს და



მაუწყებლობას საქართველოს ნებისმიერ წერტილში.

„მაგთისატის“ დამონტაჟება შეუძლია ყველას, განურჩევლად გეოგრაფიული მდებარეობისა. ანუ გეოგრაფიული შეზღუდვა „მაგთისატის“ შემთხვევაში არ არსებობს. ეს კი აქამდე მიუწვდომელი იყო, განსაკუთრებით კი რეგიონებში მაცხოვრებელი ადამიანებისთვის. ამასთან, ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ადგილობრივ, რეგიონალურ ტელევიზებთანაც, რათა მომხმარებელი ამ პროდუქტით მაქსიმალურად დავაინტერესოთ“, - განაცხადა ლობჟანიძემ.

„მაგთიკომის“ მარკეტინგის დირექტორის განცხადებით, მიმდინარე წელს კომპანიას განსაკუთრებული აქცენტი სწორედ „მაგთისატის“ პროდუქტზე ექნება აღებული.

„ვაპირებთ, რომ მიმდინარე წელს „მაგთისატს“ 50 ათასი აბონენტი ჰყავდეს. თუმცა ჩვენ სხვა კონკურენტუნარიანი პროდუქტების გამოტანასაც გავაგრძელებთ. მეტსაც გეტყვით, ჩვენ გვსურს, რომ გავხდეთ საერთაშორისო ოპერატორი და „მაგთისატით“ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ყველა ქვეყანა დავფაროთ. ამის შესაძლებლობა კი კომპანიას ნამდვილად გააჩნია“, - განაცხადა ლობჟანიძემ და აქვე დასძინა, რომ უახლოეს მომავალში „მაგთიკომი“ მომხმარებელს შეღავათიან ფასში ერთიანი პროდუქტის შეთავაზებასაც აპირებს, სადაც გაერთიანებული იქნება ფიქსირებული ტელეფონი, მობილური, ინტერნეტი და ტელევიზია.

ანა ვაჩნაძე

2012, 18 იანვარი №14

# რა საფრთხეს გვიქმნის გიგანტური ჰესების მშენებლობა

შორენა გონგლაძე

## დავკარგავთ თუ არა მტკვარს

გუშინ მეტროსადგურ „რუსთაველთან“ ლაშა ჩხარტიშვილმა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად საგანგებო ბრიფინგი გამართა და „გრინფისის“ მხარდაჭერით გიგანტური ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ დაგეგმილ საზოგადოებრივ კამპანიაზე ისაუბრა.

„ჩვენ გიგანტური ჰესების მშენებლობის წინააღმდეგი ვართ, მათ შორის – ხუდონჰესის და ონის ჰესების მშენებლობის. ენერგოსისტემა უნდა განვითარდეს, თუმცა არა ეკოლოგიის ხარჯზე. შესაძლებელია მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა სტანდარტების დაცვით, ასევე ელექტროენერგიის ალტერნატიული გზების გამონახვა. დარიალჰესის მშენებლობის შედეგად საქართველო შესაძლოა მდინარე თერგის გარეშე დარჩეს, ვინაიდან ეს პროექტი 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, თურქეთში მიმდინარე პროექტის ფარგლებში მდინარე მტკვარსაც პრობლემები შეექმნება“, – განაცხადა ჩხარტიშვილმა. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა კიდევ ერთი უმძიმესი დარტყმა მიაყენოს სახელმწიფოს და ფული იშოვოს საკუთარი სამშობლოს ხარჯზე.

სააკაშვილი ფულზე ყიდის მდინარეებს, ტყეებს, მიწას. ბოლო პერიოდში საუბარია თურქეთის ტერიტორტიაზე მტკვრის კალაპოტის შეცვლაზე, რის შედეგადაც ჩვენი დედა მდინარის ნაცვლად დაგვრჩება რაღაც ნაშთი, ეს პროექტი რეალურად განიხილება და ეს აღიარა საქართველოს ხელისუფლებამაც, რომ ასეთი პროექტი არსებობს და აქამდე, როგორც თურქეთის, ასევე საქართველოს ხელისუფლება ამ პროექტს მალავდა. საუბარია თერგის გვირაბში მოქცევაზე და შეიძლება მალე მისი დიდი ნაწილი გვირაბში მოექცეს. პრაქტიკულად ამით საქართველოს უნიკალური მდინარეები ნადგურდება და აქედან არანაირი დადებითი შედეგი არ გვექნება. ეს პროექტები მთლიანობაში გათვლილია ინვესტორზე, რომელიც წარმოდგენილია ამ სახით: საქართველოს მთავრობა, თურქეთის მთავრობა და რუსეთის მთავრობა, მათი პირადი ინტერესებია ეს ყველაფერი და საქართველოს მთავრობის. სამწუხაროდ, ჩვენ ვკარგავთ ისტორიულ ძეგლებს, ჯანმრთელობას, შეიცვლება კლიმატი, რომელიც სერიოზულ ზიანს მიაყენებს თითოეულ რეგიონს და ასე შემდეგ. ამასთანავე ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ვართო და ეს რეალობაა, მაგრამ ამ ვითარებაში დამატებითი სამიზნეების მშენებლობა ქვეყნის ტერიტორიაზე არამიზანშეწონილია. ჩვენ გვაქვს ინიციატივა, რომ შევქმნათ „გრინფისის“ მხარდამჭერთა ასოციაცია და ვცადოთ, რომ „გრინფისი“ საქართველოთი დაინტერესდეს, რადგანაც რეალურად გვჭირდება მათი ძალა და დახმარება, რადგანაც ჩვენს ბუნებას უპირისპირდება ხელისუფლება დიდი ძალით და მეორე მხრივ, ვაწარმოებთ კამპანიას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელსაც ჰქვია „კამპანია უსაფრთხო ენერგეტიკისა და გარემოსათვის“. ამიტომ ჩვენ დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვების პროცესი და ვეუბნებით მოქალაქეებს, რომ ჩაერთონ ამ ბრძოლაში, რადგანაც ცოტა ხანში ჩვენ სამშობლო არ გვექნება; სადაც თერგი არ არის, სადაც მტკვარი არ არის, სადაც სვანეთი არ არის, ის ჩვენი სამშობლოც არ არის, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია ცოტა ხნის წინ გავრცელდა იმის თაობაზე, რომ თურქეთი მტკვრის სათავეში ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის – „ბეშიქ ჰაიას“ – მშენებლობას იწყებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თურქეთის პროვინცია არდაგანში, სადაც სათავეს იღებს მტკვარი, აშენდება ჰიდროელექტროსადგურთა კასკადი და იმისთვის, რომ მტკვრის რესურსი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული, მდინარეს შეეცვლება კალაპოტი – ის საქართველოში აღარ წამოვა და გადაგდებული იქნება მდ. ჭოროხის კალაპოტში იქ მშენებარე მდინარე ჭოროხის კასკადის ბოლო წყალსაცავების – „კილიჩისა“ და „ისპირის“ – შესავსებად.



მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულის შესახებ საქართველოს პარლამენტში ვიზიტით მყოფი არდაგანის ოლქის დეპუტატისაგან გახდა ცნობილი. როგორც ექსპერტები აცხადებენ, პროექტის განხორციელება საფრთხეს შეუქმნის როგორც საქართველოსა და აზერბაიჯანს, ასევე თავად არდაგანის პროვინციას.

ინფორმაციის გავრცელებისთანავე მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ალაპარაკდნენ გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და პარტიებიც. „მწვანეთა პარტიის“ ლიდერის გია გაჩეჩილაძის განცხადებით, მდინარე მტკვრის წყლის რესურსების შემცირება გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებს ბორჯომსა და თბილისს, სერიოზული პრობლემები შექმნება აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობას,. მას მოსალოდნელი საფრთხეების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი აქვს: „საქართველოს საზღვრიდან დაახლოებით 5-10 კილომეტრის ქვევით მტკვარში წყალი საერთოდ არ იქნება. ეს იქნება მშრალი ხევი, სანამ საქართველოში არსებული პატარა მდინარეები არ შეუერთდება მტკვრის ძირითად ნაკადს. კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნება ბორჯომში. იქნება საშინელი ანტისანიტარიული პირობები. თბილისში მტკვარი მიაღწევს ძალიან მცირე რაოდენობით – ზაფხულის პერიოდში იქნება იმის ნახევარი, რაც დღესდღეობით არსებობს და თქვენ წარმოიდგინეთ, თბილისისა და რუსთავის კანალიზაცია, რომელიც უერთდება მტკვარს, რა მდგომარეობა იქნება ამ მიმართულებით ქალაქებში. აღმოსავლეთ საქართველო ისედაც დეფიციტურია წყლის რესურსების თვალსაზრისით. ბუნებრივია, როდესაც მტკვარში წყალი დაიკლებს, ჩვენ აგრარული სექტორის, სოფლის მეურნეობის განვითარება აღარ შეგვეძლება,“ – აცხადებს გაჩეჩილაძე.

გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროექტი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს.

– საქართველოს არ აქვს წყლის რესურსის დეფიციტი, თუმცა წყლის რესურსების 75% კონცენტრირებულია დასავლეთ საქართველოში, 25% კი აღმოსავლეთ საქართველოში, ამიტომ აღმოსავლეთ საქართველო წლის თვალსაზრისით დეფიციტურია და მისი მთავარი არტერია მდინარე მტკვარია. როცა მტკვრის წყალი მინიმუმამდე დავა, ჩვენი აგრარული სოფლის მეურნეობის განვითარება აღარ შეგვეძლება, მორწყვის საშუალება აღარ იქნება., რაც სოფლის მოსახლეობის მიგრაციას გამოიწვევს და სოფლის მეურნეობის განვითარებას შეაფერხებს.

პრობლემები მხოლოდ საქართველოს არ შეექმნება. აზერბაიჯანი ძირითად წყლის რესურსს მინგეჩაურის წყალსაცავიდან იღებს, რომელსაც სამი მდინარე იორი, მტკვარი და ალაზანი კვებავს, – აცხადებს გაჩეჩილაძე, გია გაჩეჩილაძის თქმით, ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მინგეჩაურის წყალსაცავს წყლის რაოდენობის 10 % მოაკლდება.

- ეს ნიშნავს, რომ მინგეჩაურის ჰესზე გამომუშავება შემცირდება და აზერბაიჯანის ტერიტორიას წყალი მოაკლდება, რომელიც ისედაც დეფიციტურია წყლის კუთხით, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე რაიმე მნიშვნელოვანი განცხადება არც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან და არც გარემოს დაცვის სამინისტროსგან არ გავრცელებულა.

ამ საკითხზე გარემოს დაცვის მინისტრმა რადიო „თავისუფლებას“ შემდეგი კომენტარი მისცა:

- ზუსტად ვერ გეტყვით, რა აშენდება ან რა არ აშენდება. დღესაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველო-თურქეთს შორის. არაფერი ისეთი კონკრეტული არ არის გადაწყვეტილი, რის თქმასაც აზრი ექნებოდა ჩემი მხრიდან, მაგრამ ერთი შემიძლია დარწმუნებით ვთქვა იმ აპოკალიფსური სურათის საწინააღმდეგოდ, რაც იხატება: თურქეთიდან მტკვარი საქართველოში ყოველთვის შემოვა. არ ვგულისხმობ მე თბილისში ჩამომდინარე მტკვარს და მის უამრავ შენაკადს. მე ვსაუბრობ კონკრეტულად საქართველო-თურქეთის საზღვარზე, საიდანაც ყოველთვის შემოვა მდინარე მტკვარი, – განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

მდინარე ჭოროხზე კალაპოტური ტიპის ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე თურქულმა კომპანიამ „აჭარ ენერჯი 2007“-მა გარემოს დაცვის სამინისტროსგან ნებართვა მიიღო. ამ ინფორმაციას ახალი ამბების სააგენტო „ნეგაზეთი“ აქვეყნებს.

გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის მიხედვით, რომელზე დაყრდნობითაც სამინისტრომ ნებართვა გასცა, პროექტის განხორციელების შემთხვევაში წყლით დაიფარება 225 ჰექტარი მიწის ფართობი, აქედან 181 000 კვ/მ სოფლების: მახოს, ერგეს აჭარისწყლის, მირვეთის, კირნათისა და მარადიდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, არსებული საძოვრები და ტყის კორომები იქნება.

სოფელ მაჭახლისპირში ჭოროხის მარჯვენა მხარეს უკვე მუშაობს მძიმე ტექნიკა. სოფლის ცენტრში, დასახლებასთან ახლოს კი კომპანიამ კოტეჯის ტიპის სახლები განათავსა, სადაც თურქი სპეციალისტები იცხოვრებენ.

პროექტის განხორციელებას ადგილობრივი მოსახლეობა ეწინააღმდეგება, ისინი „ბათუმელებთან“ იმ საფრთხეებზე საუბრობენ, რაც მოსახლეობას, მათი თქმით, პროექტის განხორციელების შემდეგ ელოდება.

„რაც მდინარე ჩაკეტეს, კლიმატი შეიცვალა, ბაყაყები მოისპო და კოღო გაჩნდა, ამ ჰესების აშენების შემდეგ კი ალბათ ჩვენც მოვისპობით და ეს იქნება შედეგი, ტელევიზორში სპეციალისტი ამბობდა, შვიდი პროცენტით მოიმატებს ტენიანობაო; როგორც ვიცი, 65 პროცენტი ნესტია ჰაერში, ახლა კიდევ შვიდი პროცენტიც თუ დაემატა, აქ როგორ ვიცხოვრებთ, არ ვიცი“, – ამბობს სოფელ მარადიდში მცხოვრები ახმედ დიასამიძე. ადგილობრივების ინფორმაციით, სოფელ მაჭახლისპირში ინვესტორმა მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების დათმობის სანაცვლოდ 1 კვ/მ-ზე 8-დან 12 ლარამდე შესთავაზა. „მოსულები იყვნენ, კითხვების დასმის საშუალება მოგვეცა, მაგრამ რა გამოვიდა ამით? ვკითხე, მინდორი ხომ არ დაიტბორება-მეთქი და შეიძლება დაიტბოროსო მიპასუხეს. თურქ ინვესტორს კაპიკის დახარჯვა არ უნდა, აქ ძალიან დიდი დავა იქნება. რვა ლარად რომელი ჭკუათმყოფელი მისცემს ერთ კვადრატულ მიწას, ამ მიწაზე ტყე და ჩანჩქერი გვაქვს. გადაგასახლებთო არ უთქვამთ, მოსახლეობას არ ვეხებითო, მაგრამ სახლთან წყალს რომ დაგიგუბებენ, იქ როგორ უნდა იცხოვრო. ვუთხარი, როგორც თქვენ გინდათ და გაგიხარდებათ, ისე არ გამოვა-მეთქი; გავაფრთხილე, რომ სოფელ მირვეთის მოსახლეობასთან შეთანხმების გარეშე იქ ჰესს ვერ ააშენებენ,“ - ამბობს ზურაბ ჭელიძე.

გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტში, რომელიც ქართულმა საკონსულტაციო კომპანიამ „გამა-კონსალტინგმა“ მოამზადა, ერთი თავი შავი ზღვის სანაპირო ზოლზე პროექტის შესაძლო ზემოქმედების განხილვას ეთმობა, სადაც ნათქვამია, რომ 2015 წლისთვის თურქეთის ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰესების მშენებლობის შემდეგ შავ ზღვაში მდინარე ჭოროხის საშუალებით ნატანის ტრანსპორტირება 83 პროცენტით შემცირდება, შესაბამისად კონსულტანტებმა დასაშვებად მიიჩნიეს, რომ დამატებით კაშხლების მშენებლობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა დაგეგმილი, მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვეღარ მოახდენს, თუმცა სანაპიროს შენარჩუნების მიზნით შავი ზღვის სანაპირო ზოლში გარკვეული რაოდენობის ინერტული მასალის შეტანა, გამაგრების მიზნით, ყოველწლიურად კალაპააუცილებელი იქნება.

# რა მზაკვრულ გეგმას ამზადებს სააკაშვილი?

დასაწყისი მე-5 გვერდზე

დოდ, ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, კონსიტუტუციით თუ სააკაშვილი გადადგება და პარლამენტის დეპუტატი გახდება, ეს ასეც უნდა მოხდეს. პრემიერმინისტრობისთვის სამი ძლიერი კანდიდატი იბრძოლებს - უგულავა, მერაბიშვილი და ბოკერია. ბოკერია და უგულავა ორივე „თავისუფლების ინსტიტუტის“ კანდიდატები არიან, მაგრამ ერთმანეთის ოპონირება მათ არ მოუწევთ, ორივე ე.წ. სარეზერვო ვარიანტები იქნებიან, თუ ერთის ვარიანტი ჩავარდება, მეორე ვარიანტი მყისვე ამოტივტივდება, რომელიც მერაბიშვილის საპირწონე უნდა გახდეს. პრემიერობაზე ჟვანიას არც ერთი ყოფილი თანაგუნდელი არ იბრძოლებს, არც ერთს ამის „გაქაჩვა“ არ შეუძლია, თანაც ვფიქრობთ, აღარც კი ახსოვთ, ოდესმე ჟვანიას გუნდელები რომ იყვნენ, ისე არიან ჩაზრდილები ნაციონალურ მოძრაობაში. მათთვის ახლა ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება, რომ საარჩევნო სიაში ჩასვან, თუ არადა, ჟვანიას ყოფილი თანაგუნდელებისთვის არც ოპოზიციაში გადასვლის გზა იქნება ჩაკეტილი.

მერაბიშვილი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში აგრესიას იწვევს, მაგრამ ოპოზიციაში ის სხვა მინისტრებთან შედარებით უფრო ეფექტურ ხელმძღვანელად მიიჩნევა. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ოპოზიცია პოლიციის გამართულ მუშაობაზე ხშირად საუბრობს, თუმცა მთლად ვანოისტებად რომ არ მოინათლოს, არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდში საპოლიციო რესურსების გამოყენებაზეც მიანიშნებს. ასეა თუ ისე, მერაბიშვილი შს მინისტრობით აღარ დაკმაყოფილდება და პრემიერ–მინისტრის პოსტისთვის იბრძოლებს. უგულავა–ბოკერიას ტანდემში უგულავას მეტი შანსი აქვს გახდეს პრემიერი, საარჩევნო პერიოდში უგულავა აქტიურად გააგრძელებს მერის არჩევნების დროს დაწყებულ პროექტებს და ახალსაც მიამატებს. პიარკამპანია არც მას ეშლება. ბოკერიაზე ამბობენ, რომ მას კარგი კონტაქტები აქვს უცხოეთში, თუმცა ქვეყანაში ლიდერობისთვის უცხოური კონტაქტები საკმარისი არ არის. აქ ბოკერიას ნაცმოძრაობაში უპირობო მხარდაჭერა სჭირდება. ბოკერია ადგენდა ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიას, ახლაც ასე იქნება. სავარაუდოდ, ის ბევრს მოიმადლიერებს და მადლიერების ნიშანი მისთვის მხადაჭერის გამოხატვა იქნება.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ზოგიერთი ახალგაზრდა ნაციონალი მომავალ პარლამენტში შეიძლება ვეღარ ვიხილოთ, განიხილება ვარიანტები მათი, ვინც სიაში მოხვდება, ხოლო მათ, ვინც ამ მოწვევის პარლამენტის დეპუტატი იყო და მომავალ პარლამენტში ვერ მოხვდება, ნაციონალების ტრადიციული გაგებით სხვა თანამდებობაზე გააგრძელებს მუშაობას ანუ მათ გულს არ დასწყვეტენ.

ნაციონალური მოძრაობის სიაში, სავარაუდოდ, დარჩებიან ვახტანგ ბალავაძე, გიორგი ასანიძე, დავით ბეჟუაშვილი (სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ეს უკანასკნელი ნაცმოძრაობის ხაზინაში გვარიან თანხებს დებს,

თანაც სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის შეუცვლელი წევრია), აკაკი ბობოხიძე, რომელსაც ეკუთვნის პარლამენტის ქუთაისში გადატანის იდეა, გოკა გაბაშვილი, დავით დარჩიაშვილი და ნუგზარ წიქარიშვილი, ნაცმოძრაობის იდეოლოგები, მარიკა ვერულაშვილიც შესაძლოა პარლამენტში იყოს, თუ მას სხვა პირადი გეგმები არ ექნება, პავლე კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ძმის ავტორიტეტით და იდეოლოგის სტატუსით იქნება სიაში. ქალებიდან აქტიურები ხათუნა გოგორიშვილი, ხათუნა ოჩიაური და ეკა ხერხეულიძე, სავარაუდოდ, ნაცების საარჩევნო სიაში იქნებიან.

საარჩევნო სიიდან, წყაროს ინფორმაციით, გიორგი გოდაბრელიძე ამოიღეს, ასევე გიორგი გოგუაძე, ვახტანგ გოგუაძის შვილი და სახალხო ბანკის ყოფილი მმართველი, არჩილ გეგენავასა და ბოკერიას შორისაც შავმა კატამ გადაირბინა, მედია საშუალებებში კარგა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გეგენავასა და ბოკერიას შორის ურთიერთობა დაიძაბა, თინა ხიდაშელის თქმით კი, იაფი ბაზრობები, რომელიც მერიის ინიციატივა იყო, თურმე არჩილ გეგენავას კუთვნილებაა და მისი პროდუქტებით „ფუდ სერვისით“ მარაგდებოდა. ახლახან ისიც დაიწერა, რომ გეგენავა ყოფილი მხედრიონელი და „მთაწმინდის სამმის“ წევრიც ყოფილა. კი მაგრამ, ახლა რომ შავ პიარს უგორებენ და გეგენავას მხედრიონელად ნათლავენ, მაშინ სად იყვნენ, სიაში რომ წერდნენ? მომავალ პარლამენტში ვერ ვიხილავთ თამაზ დიასამიძეს, რომელიც აჭარიდან იყო ნაცმოძრაობის სიით გასული დეპუტატი და ახლა აქტიურ ოპოზიციაშია, სიაში აღარ იქნებიან „ნორჩები“ – ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი კანდელაკი, აკო მინაშვილი. თავი არც ერთს გამოუჩენია მოქმედ პარლამენტში, ნაცების იდეოლოგების სტატუსი მხოლოდ განსაკუთრებულებს აქვთ და ამ განსაკუთრებულებში ეს სამი ახალგაზრდა არ მოიაზრება, თუმცა ოპოზიციაში რომ არ გადავიდნენ, გულს არ დასწყვეტენ და აღმასრულებელ ხელისუფლებაში რაღაც პოსტებს მისცემენ. მომავალ პარლამენტში აღარ იქნება როლანდ კემულარია, მისი ძმა კოტე კემულარია სააკაშვილის კეთილგანწყობით აღარ სარგებლობს, არც ხაზინაშია ფულის ჩამდები და საერთოდაც, ფუნქცია ვერ მოუძებნეს. ირაკლი კენჭოშვილს დამსახურებულ პენსიაზე გაუშვებენ, რუსუდან კერვალიშვილს სავარაუდოდ მისი მოხდენილი მანერები აღარ უშველის, ნაცებს რჩეულიშვილ–კერვალიშვილებმა წარსულში გარკვეული სამსახური გაუწიეს, ახლა ცენტრპოინტის გაკოტრების გამო ეს პერსონები მმართველი პარტიის ძირითადი ბირთვისთვის მიუღებელი აღმოჩნდნენ. ელდარ კვერნაძე მართალია ნაცებისადმი უზომო ერთგულებით გამოირჩევა და ეს მან არა ერთხელ დაამტკიცა, მაგრამ საზღვარი ამ ერთგულებასაც აქვს, მასაც არ დასწყვეტენ გულს და ნაციონალების მიმართ გამოჩენილი თავგანწირვა დაუფასდება. ნაცების სიაში აღარ იქნება ნავთობბიზნესმენი გოგი ლიპარტელიანი, მის ნაცვლად რომელიმე გავლენიან და მოდურ ბიზნესმენს ჩასვამენ სიაში. თავისთავად ცხადია და უდავოა, რომ პეტრე მამრაძე, რომელიც პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის სიით იყო გასული, მმართველი პარტიის სახელით ვეღარ გახდება დეპუტატი. პეტრე ცისკარიშვილი, გიგი წერეთელი და ნუგზარ წიკლაური დეპუტატები გახდებიან თუ ნაციონალებმა უმრავლესობით გასვლა მოახერხეს. ეს არასრული ჩამონათვალია იმ დეპუტატებისა, ვინც მოხვდება და ვინც ვერ გახდება დეპუტატი. სავარაუდოდ, სხვების ვინაობასაც შევიტყობთ.

# სააკაშვილმა ლაზიკას მშენებლობა დააჩქარა

## ის 900 მილიონი დაჯდება

შალვა ჯოხაძე

მიხეილ სააკაშვილი ლაზიკას იდეას არ ეშვება. თუმცა, რაღა იდეა, ის უკვე მშენებლობას იწყებს. რასაკვირველია, არ ივიწყებს ხმამაღალ განცხადებებსაც. მორიგი განცხადება ლაზიკასთან დაკავშირებით მან გუშინ გააკეთა.

– სამეგრელო ჰოლანდიაზე უკეთესად არის დახაზული. როცა ჰოლანდიაში ჩავდიოდი, ვერც კი ვიოცნებებდი, რომ იმაზე უკეთესი შეიძლებოდა, რაიმე მენახა, თუმცა, ახლა უკვე, როცა სამეგრელოს ზემოდან გადავუფრენ, ყველაფერი შეიცვალა. ამ დღეებში უკვე ლაზიკაში შევდივართ ბულდოზერებით. ლაზიკა ჩემი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, უბრალოდ, მე ვფიქრობ, რომ შეუძლებელია, ამდენი ნიჭიერი ადამიანი გყავდეს და არ გქონდეს საუკეთესო ქალაქები ქვეყანაში. ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ტერიტორია გვაქვს აუთვისებელი და აუცილებლად დავიკავებთ ყველა ტერიტორიას. ჩვენ ვაშენებთ ქალაქებს, რომლებსაც ჩვენი მტრები ვერ აშენებენ, – აღნიშნა სააკაშვილმა.

მოკლედ, ეს ახალი ინფორმაციაა. მანამდე ვრცელდებოდა ხმები, რომ ამ ქალაქის მშენებლობის დაწყებას ამ გაზაფხულზე აპირებდნენ. მიშა კი ლაპარაკობს, მაგრამ, მგონი, თავად მთავრობაშიც ვერ გარკვეულან, კონკრეტულად სად და როგორ აშენდება ქალაქი. არც ის არის გარკვეული, როგორი არქიტექტურა იქნება მომავალ ლაზიკაში. მთავრობაში რომ გაურკვევლობაა, ამას ისიც მოწმობს, რომ რამდენიმე დღის წინ სამეგრელოს გუბერნატორი ირწმუნებოდა, ლაზიკას პირველი აგური მაისში დაიდებაო. ეს რადიო „კომერსანტისთვის" გახდა ცნობილი. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა გურამ მისაბიშვილმა რადიოსთან საუბარში განაცხადა, რომ ამჟამად ტერიტორიაზე ნიადაგის შესასწავლი და საკადასტრო სამუშაოები მიმდინარეობს.

გურამ მისაბიშვილის ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი და პირველ ეტაპზე ქალაქის მშენებლობაში კერძო ინვესტიციები ჩაიდება. მისი განცხადებით, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ლაზიკას პროექტისთვის თანხები არ არის გამოყოფილი. თუმცა, გუბერნატორის მტკიცებით, საჭიროების შემთხვევაში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო თანხების გამოყოფას არ გამორიცხავს. თუმცა, როგორც ჩანს, სააკაშვილს გასაპიარებელი „სიახლეები" შემოელია და ახლა ლაზიკაში ბულდოზერით შესვლით ეცდება, ეს დანაკლისი შეავსოს.

ლაზიკაზე თვით კახა ბენდუქიძეც ალაპარაკდა. მისი თქმით, ახალ ქალაქს არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ ინდუსტრიული, კომერციული ფუნქციაც უნდა ჰქონდეს. ბენდუქიძის თქმით, მთავრობამ ფული გზებსა და ინფრასტრუქტურაზე უნდა დახარჯოს, დანარჩენი კერძო ინვესტიციები უნდა იყოს – დეველოპერებმა სახლები ააშენონ, ბიზნესმენებმა დიდი, საშუალო და მცირე ბიზნესი შექმნან. ლაზიკაზე საუბრისას კახა ბენდუქიძე გაეროს მონაცემებზეც ამახვილებს ყურადღებას, რომლის თანახმადაც, ზღვისპირეთში და ზღვასთან მიბმულ ქალაქებსა და სოფლებში მსოფლიო მოსახლეობის 50 პროცენტი ცხოვრობს. 35 წლის შემდეგ 80 პროცენტი იქნება, იმიტომ, რომ ზღვასთან ცხოვრება ნიშნავს უფრო რბილ კლიმატს, მეტ საერთაშორისო ვაჭრობას, უფრო ადვილად შეიქმნება სამუშაო ადგილები და ა.შ. ეს პროცესი საქართველოშიც ისეთივე იქნება, როგორიც მთელ მსოფლიოშია. ბენდუქიძის შეფასებით, დღეს საქართველოს ზღვისპირეთი საკმაოდ დაუსახლებელია, ჯამში, 300-400 ათასი ადამიანი ცხოვრობს, არადა, 2 მილიონი მოსახლე მაინც უნდა ცხოვრობდეს.

საქართველოში მიმდინარე, დასრულებული თუ მომავალში დაგეგმილი მშენებლობებით უცხოური მედიაც დაინტერესდა. მაგალითად, გამოცემა „ევრაზიანეტი" ამ თემაზე მსჯელობისას ყველაზე დიდ ყურადღებას სააკაშვილის მიერ გამოცხადებულ გრანდიოზულ გეგმაზე, ქალაქ ლაზიკას მშენებლობაზე აკეთებს.

– ვინმემ შეიძლება ისიც კი წარმოიდგინოს, რომ თუ სააკაშვილი საქართველოს მმართველი არ გახდებოდა, ის დონალდ ტრამპის ყაიდის დეველოპერობაში გამოიჩენდა თავს, – წერს „ევრაზიანეტის" ჟურნალისტი. სტატიის თარგმანს კი „ფორინპრესი" აქვეყნებს.

გამოცემა აღნიშნავს, რომ სააკაშვილის მმართველობის განმავლობაში მან მშენებლობებსა და ინფრასტრუქტურის განვითარებას უამრავი დრო და უძვირფასესი რესურსები შესწირა. საქართველოს ახალი იერსახის შექმნის წახალისების პროცესში მას თანამედროვე სამოქალაქო არქიტექტურაში ნიჭი აღმოაჩნდა. ის თავმჯდომარეობს უამრავი შენობის გახსნას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, საბაჟოს თეთრი, ფუტურისტული ტერმინალით დაწყებული და პოლიციის კაშკაშა შენობებით დამთავრებული. ეს ნაგებობები ხელოვნების ნიმუშის ფუნქციას ითავსებენ. საახალწლო მიმართვისას სააკაშვილმა აშკარა სიამაყით აღნიშნა, რომ მისმა ადმინისტრაციამ ბოლო 7 წლის განმავლობაში უფრო მეტი რამ ააშენა, ვიდრე ქვეყანაში „გასული 8 საუკუნის განმავლობაში" აშენებულა.

მართალია, ის თავდადებით ცდილობს ქვეყნის იმიჯის გამყარებას არქიტექტურის მეშვეობით, რაც მისასალმებელია, მაგრამ მეთოდები, რომლებსაც ის მიმართავს, ოპონენტების თქმით, უკეთესის სურვილს აჩენს. მაგალითად, საჯარო პროექტების დაგეგმვისას საჯარო დისკუსიების ნაკლებობაა და, რაც კიდევ უფრო შემაშფოთებელია, დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტიცაა.

ერთ-ერთი პროექტი, რომლის მიზანიც შავი ზღვის სანაპიროზე ქალაქის, ლაზიკას ჩამოყალიბებაა, საქართველოში მიმდინარე საჯარო მშენებლობების ტრანსპარენტულობის საკითხს უსვამს ხაზს. ლაზიკას მშენებ-



მიხეილ სააკაშვილი

ლობა მთლიანად, სავარაუდოდ, 900 მილიონი ლარი დაჯდება. მაგრამ, გარდა ამისა, ცოტა რამაა ცნობილი, მაგალითად ის, თუ რამდენი დაიხარჯება მშენებლობაზე გადამხდელთა გადასახადებიდან. არ გავრცელებულა არც ოფიციალური პროექტი, არც დაფინანსების დეტალები; პრეზიდენტის ადმინისტრაცია კითხვებს რეგიონულ მმართველთან ამისამართებს, ის კი ინტერვიუზე თხოვნას არ პასუხობს. მრავალჯერად თხოვნას ინტერვიუზე, რომელიც 2012 წელს პროექტის დაფინანსებას შეეხებოდა, არ გამოეხმაურა არც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, არც პარლამენტის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე.

რამდენიმე ფინანსური გათვლა ამოტივტივდა ადგილობრივ მედიაში. ამ ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო ლაზიკას მშენებლობაზე დახარჯავს დაახლოებით 200 მილიონ ლარს, ხოლო დანარჩენ 423 მილიონს ან დაახლოებით ამდენს გადაიხდიან ინვესტორები, რომლებიც არ დასახელებულან.

გიორგი კლდიაშვილი, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" დირექტორი აღნიშნავს, რომ სააკაშვილს აქვს ლაზიკას მსგავსი პროექტების გამოცხადების გამოცდილება ისე, რომ არც საჯარო დისკუსია ჩატარებულა და არც შემდგომი მსჯელობა.

– ეს გადასახადების გადამხდელთა ფულია. მინდა, საქართველოში ლას ვეგასის მსგავსი ქალაქები მქონდეს, მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, როგორ გაკეთდება საქმე, ვისი ფულით და საიდან მოდის ეს ფული. რატომ არ გვეკითხებიან, გვინდა თუ არა ლაზიკა, ან ბირთვული ელექტროსადგურები, ან იქნებ ის გვირჩევნია, რომ ჩვენს პენსიონერებზე იზრუნოს სახელმწიფომ, – ამბობს კლდიაშვილი.

„ევრაზიანეტის" ინფორმაციით, ლაზიკას სავარაუდო ღირებულება დიდად არ შეეხება საქართველოს 6.8-მილიარდიან ბიუჯეტს, მაგრამ ის მთავრობის პრიორიტეტების გარშემო აჩენს უხერხულ კითხვებს: ლაზიკა სახელმწიფოს 66%-ით მეტი დაუჯდება 2012 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილ ბიუჯეტზე (119 მილიონი ლარი) – ეკონომიკის ის დარგი, რომელზეც მესამე კვარტალში ქვეყნის მშპ-ს 9.3 პროცენტი მოდის. სოფლის მეურნეობა, აგრეთვე, დასაქ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# „ბილაინმა" მეგა გათამაშების გამარჯვებულები დააჯილდოვა

16 იანვარს კომპანია „ბილაინმა" საკუთარი მეგა გათამაშების გამარჯვებული აბონენტები გამოავლინა. მათი დაჯილდოება კი 17 იანვარს, კომპანიის რუსთაველის გამზირზე მდებარე ოფისში გაიმართა.

გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ, როგორც ბილაინის არსებულ, ასევე იმ პორტირებულ აბონენტებსაც, რომლებიც 19 ოქტომბრიდან, 12 იანვრის ჩათვლით რეგისტრირდებოდნენ უფასო ნომრის *500№-ის მეშვეობით.

აბონენტები ბალანსის სამი ლარით შევსების შემთხვევაში ერთ ბილეთს იღებდნენ, ხოლო ბილაინის ქსელში პორტირების შემთხვევაში, დამატებით ხუთ ბილეთს.

აღსანიშნავია, რომ ბილაინის მეგა გათამაშების ხუთი გამარჯვებულიდან ორი იღბლიანი, სწორედ პორტირების შემდეგ გახდა ბილაინის აბონენტი.

მეგა გათამაშების სამ გამარჯვებულს, ლას ვეგასში, სასტუმრო „ცეზარ პალასის" ორკაციანი საგზური და 5000 ა.შ.შ დოლარი ერგო, ხოლო ორი იღბლიანი „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200"-ის მფლობელი გახდა.

მალხაზ ტურაშვილი, რომელიც ლას ვეგასში გაემგზავრება, ადრე სხვა ქსელის აბონენტი იყო.

„აზარტული არ ვარ. არც აქამდე მომიგია რამე, მაგრამ ახლა გული მიგრძნობდა, რომ ამ გათამაშებაში გამიმართლებდა. ლას ვეგასშიც გავემგზავრები და ბილაინის სხვა გათამაშებებშიც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას", – განაცხადა მალხაზ ტურაშვილმა.

მასთან ერთად ლას–ვეგასის საგზურებისა და 5000 ა.შ.შ დოლარის მფლობელები გახდნენ ლუდმილა აჯაკოვა და ლევან შალამბერიძე.

ძალიან იღბლიანად დაიწყო 2012 წელი ჭიათურელი თამარ კაპანაძისთვის და ნათია ხვადაგიანისთვის.

ისინი ბილაინის მეგა გათამაშების გამარჯვებულები და შესაბამისად „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200"-ის მფლობელები გახდნენ.

„ჯეოსელის აბონენტი ვიყავი, როდესაც ბილაინის მეგა გათამაშების შესახებ გავიგე. რაღაცნაირად ვიგრძენი, რომ უეჭველად გამიმართლებდა და პორტირება განვახორციელე რის შემდეგაც გათამაშების ხუთი ბილეთი მერგო. სამი ლარით ბლანსის ყოველი შევსების შემდეგ, თითო ბილეთი მემატებოდა. სულ ცხრამეტი ბილეთი მქონდა. აი გამიმართლა და ამ შესანიშნავი ავტომობილის მფლობელი გავხდი. გათამაშებაც რომ არა, ბილაინს უამრავი ძალიან კარგი სერვისი აქვს. ჭიათურაშიც მშვენივრად იჭერს. შვიდ თეთრად, ყოველგვარი სააბონენტოს გადახდის გარეშე შემიძლია ნებისმიერ ოპერატორს ვესაუბრო", – გვითხრა თამარ კაპანაძემ.

დაჯილდოების ღონისძიებას კომპანიის თანამშრომლები, ჟურნალისტები და ის ადამიანები ესწრებოდნენ, ვისაც ბილაინის





აბონენტად გახდომა სურდა. ისინი კომპანიის ოფისში ტელეფონებისა და სიმ ბარათების შესაძენად მოვიდნენ და ლამაზი ზეიმის მონაწილენი გახდნენ.

„ბილაინი განაგრძობს აბონენტების წახალისებას და მათი სხვადასხვა პრიზებით დაჯილდოებას. ბოლო გათამაშებაში რეკორდული მაჩვენებლების ბილეთები დაფიქსირდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენი ქსელის დინამიურ ზრდას.

გვიხარია ის ფაქტი, რომ ჩვენს გათამაშებაში განსაკუთრებით პორტირებულ აბონენტებს გაუმართლათ. დღევანდელი გათამაშება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბილაინის ქსელში პორტირება განსაკუთრებით მომგებიანია", – განაცხადა კომპანია ბილაინის ფინანსურმა მენეჯერმა გიორგი ტყეშელაშვილმა.

რაც შეეხება კომპანია ბილაინს, შეგახსენებთ, რომ ის არის ერთ-ერთი ოპერატორი, რომელიც „ვიპელკომის" კომპანიების ჯგუფის წევრია და მომსახურებას უწევს ხმოვან კავშირსა და მონაცემების გადაცემას ფიქსირებული კავშირის ტექ-



ნოლოგიების ფართო სპექტრის საფუძველზე.

„ვიპელკომის" ჯგუფში შედიან კომპანიები, რომლებიც ოპერაციებს რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ტაჟიკეთში, უზბეკეთში, საქართველოში, სომხეთში, ვიეტნამში და კამბოჯაში ახორციელებენ. ამ ჯგუფის ლიცენზიები მოიცავს ტერიტორიას, რომელზეც 340 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მათი მომსახურების გაწევა კი სწორედ „ბილაინის" ბრენდით ხორციელდება.

ამავდროულად, გაგაცნობთ მეტად საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ბილაინის ქსელის გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

2011 წლის 31 დეკემბერს, ბილაინის აბონენტებმა რეკორდული რაოდენობის, 2 311 638 ( ორი მილიონ სამას თერთმეტი ათას ექვსას ოცდათვრამეტი) სმს გაგზავნეს და ჯამში 6 038 308 (ექვსი მილიონ ოცდათრამეტი ათას სამას რვა) წუთი ისაუბრეს, რაც 23 %-ით აღემატება შარშანდელ ანალოგიურ პერიოდს.

2012 წლის 1 იანვარს კი სმს-ების რაოდენობამ 3 016 238 (სამი მილიონ თექსვმეტი ათას ორას ოცდათვრამეტი) სმს გაგზავნეს და 7 092 565 (შვიდი მილიონ ოთხმოცდათორმეტი ათას ხუთას სამოცდა ხუთი) წუთი ისაუბრეს ტელეფონზე .

თეონა ბალდავაძე: „ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბილაინის ქსელში 31 დეკემბერს და პირველ იანვარს რეკორდული მაჩვენებლების მისალოცი ზარები და სმს-ები განხორციელდა, ქსელს არც ერთხელ არ შექმნია შეფერხება. საახალწლო აქტივობების მიხედვითაც თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ გაიზარდა ჩვენი ახალი თუ პორტირებული აბონენტების რიცხვი, რაც განსაკუთრებით გვახარებს".

ანა ვაჩნაძე

# ვისგან უნდა ისწავლოს პოლიტიკა ივანიშვილმა

ნინო მეტრეველი



ბიძინა ივანიშვილი

„საზოგადოებას სწორება ჩემს გვარზე აქვს“ – ბიძინა ივანიშვილის თავმდაბლური იერით ნათქვამი ეს ფრაზა საკმაოდ არათავმდაბლურად გაისმა. სწორება – არა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის იმედი, რომ არსებული სიტუაციის შეცვლა შეუძლია, საზოგადოების ნაწილს აქვს არა იმის გამო, რომ ის ივანიშვილია, არამედ იმიტომ, რომ გააჩნია ფინანსური საშუალება, რასაც პოლიტიკაში დიდ მნიშვნელობა აქვს. გაამართლებს თუ არა ამ იმედებს, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მათ შორის, მის გვერდით მყოფ ადამიანებზე, პარტიის წევრებსა და პარტნიორებზე.

„ქართული ოცნების“ დამფუძნებლის განაცხადებები, ვილაცები ფიქრობენ რომ ჩემი გარემოცვა რაღაცას მაწყვეტინებს, მაგრამ, რაც არ მომწონს, იმას ვერავინ გამაკეთებინებს და ჩემი ცოლი იმიტომ იქნება პარტიის ხელმძღვანელი, რომ საზოგადოებას „სწორება“ ჩემს გვარზე აქვსო, ნიშნავს მის მიერ არაერთხელ ნათქვამსა და გაკეთებულს – მე ვირჩევ, მე ვიხდი, შესაბამისად, მუსიკასაც მე ვუკვეთ და გადაწყვეტილებებიც ჩემიაო. ისიც თქვა, ძალიან კარგი გარემოცვა მყავსო, მაგრამ, გავრცელებული ხმებით, მილიარდერს ნდობის დეფიციტი აქვს. დავით გამყრელიძე ამბობს, ბიზნესშიც ასეთი ეჭვიანი იყოო. უნდობლობის მომენტითაცაა განპირობებული – პარტიას სათავეში ცოლი რომ ჩაუყენაო. იმის გარდა, რომ ეჭვიანობა და უნდობლობის მომენტი გამორიცხული არ არის, არჩევანი მეუღლეზე, თუნდაც ისეთ გამოუცდელზე, როგორიც ეკატერინა ხვედელიძეა, პრაგმატულია. ეს ნიშნავს, რომ ახალი პარტიის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა პირდაპირაც და ირიბადაც ივანიშვილს დაეკისრება. პარტიის ხელმძღვანელობის სხვისთვის მინდობა, მით უმეტეს პოლიტიკაში გაცვეთილისთვის, ხალხს არ მოეწონებოდა, პასუხისმგებლობის ჩამოცილების ტოლფასი იქნებოდა. ამდენად, ივანიშვილის გადაწყვეტილება და ის განცხადება, რომ ბოლო გადაწყვეტილებას თვითონ იღებს, იმ საზოგადოების დასამშვიდებლადაცაა, რომელსაც ივანიშვილის პოლიტიკური პარტნიორები არ მოსწონს. თუმცა, ამ მედალს მეორე მხარეც აქვს.

ნათქვამი, რომ რაც არ მოსწონს, იმას ვერავინ მოაწონებს და გადაწყვეტილებას მე ვიღებო, სხვა რამის ნიშანიცაა, იმის, რაც ასე ძალიან არ მოგვწონს ნაციონალურ ხელისუფლებასა და მის ლიდერში. ისეთი ლიდერი, რომელსაც არაფრად ანაღვლებს სხვისი აზრი და რაც არ მოსწონს, არ მოსწონს და რაც მოსწონს, მოსწონს, უკვე ხომ გვყავს? ეს თვისებები ივანიშვილში დასავლელ მეთვალყურეებსაც შეუმჩნევიათ და შიშობენ, ივანიშვილის გახელისუფლების შემთხვევაში ახალი შეუვალი ავტორიტეტი ლიდერი არ მოიღონო, რომ რა დროს დემოკრატიაა, ჯერ სხვა უფრო დიდი გვაქვს გასაკეთებელი, კარგის ნიშანი არ არის.

მოარული ხმებით, „ქართულ ოცნებაში“ კადრების საკითხებში უკვე პრობლემებია, განსაკუთრებით – რეგიონებში. გასამარჯვებლად გამზადებულ ძალაში არაერთ პოლიტიკურ პარტიაზე გადამხტარები ცდილობენ შეძრომას და არცთუ იშვიათად – „ვანოს კანტორის“ მონდომებით. ნარიყალის სასახლის კარზე უკვე გამოჩნდა საეჭვო რეპუტაციის ხალხი. ვინ არის შევარდნაძის საპენსიო აჯაფსანდლის მამა, ოთარ ხუფენია, ეს შეიძლება, ივანიშვილს არ სცოდნოდა, მაგრამ ხუფენიას პარტიის, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერებს უნდა სცოდნოდათ. კი ამბობს ალასანია, სააკაშვილს სხვისი რა უკვირს, თვითონ, რა, შევარდნაძის მინისტრი არ იყოო? მაგრამ ასეთი არგუმენტებით შორს რომ ვერ გავფრინდებით, ალბათ, იცის შევარდნაძის ხელისუფლების უშიშროების მინისტრის მოადგილე ალასანიამ.

ივანიშვილის ძალიან ახლო წრე მთელი დატვირთვით მუშაობს ახალ მატარებელში ჩამხტომის მსურველთა გაფილტვრაზე.

ივანიშვილის პირადი ადვოკატი, ეკა ბესელია, ხაზგასმით ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიმღები ამ ბრძოლაში ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი უნდა იყოს. ბესელია იმასაც ამბობს, არანაირი უნდობლობა პარტნიორების მიმართ არ არსებობსო, მაგრამ ხმები, რომ ივანიშვილის კარზე რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებს“ ბოლომდე არ ენდობიან, მაინც დადის.

მილიარდერის ახლო გარემოცვის ერთი ნაწილი პოლიტიკური პარტნიორების გაფართოების მომხრეა, მაგრამ ამ აზრს მოწინააღმდეგეებიც ჰყოლია, ყველაზე მეტად – ისევ პარტნიორ პარტიებში. ამიტომ არის, რომ ძირითად სუბიექტებად კვლავ მხოლოდ რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“ რჩებიან. ძიძიგური და დავითაშვილი ირიბ დამატებასავით არიან, თითქოს უფრო მრავალფეროვნებისთვის, სავარაუდოდ, ყველანაირი ამომრჩევლის გემოვნების დასაკმაყოფილებლად. ივანიშვილი – ქართულ-ტრადიციული, ალასანია და რესპუბლიკელები – მემარჯვენე და დასავლური ორიენტაციისთვის, ხალხის პარტია – მემარცხენე, ძიძიგური – ე.წ. ზვიადისტებისთვის. ამის გარდა, დავითაშვილსა და ძიძიგურს სულ ცოტა ხნის წინ რუსული იარლიყი ჰქონდათ მირტყმული და მას, ვისაც რუსეთზე აქვს ორიენტაცია და ამერიკა არ მოსწონს. ივანიშვილის ერთობაში ეროვნული საბჭოს ყოფნა იმედისმომცემი ფაქტორია,

ეროვნული საბჭო ივანიშვილთან „ინდივიდუალურ“ რეჟიმში თანამშრომლობს. ეს რას ნიშნავს, კარგად ან თვითონაც არ იციან, ან არ ამხელენ. ეს, სავარაუდოდ, ერთობის საპარლამენტო სიაში თითო-თითო ადგილს ნიშნავს. ალიანსის ძირითად მოთამაშეებს, რესპუბლიკელებსა და ალასანიას კი უნდათ ძალიან, რომ მომავალ ალიანსში გადაწყვეტილებების მიღებაში პარიტეტი იყოს, მაგრამ ივანიშვილმა გასაგებად თქვა, გადაწყვეტილებას მხოლოდ მე ვიღებ, ბიჭებოო. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ალიანსის საარჩევნო სიაშიც არ იქნება პარიტეტულად ადგილები და „გამყვან“ სიაში ადგილების უმეტესობას ივანიშვილის თანაპარტიელები დაიკავებენ.

რამდენიმე კვირის წინ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა თქვა, ეროვნულ ფორუმთან კონსულტაციები გვაქვს და მალე, იმედია, ყველაფერი პოზიტიურად დასრულდებაო, მაგრამ დღემდე ფორუმიდან ჩამიჩუმი არ ისმის. შარტავამ და სანიკიძემ კარგად აითვისეს რაღაც საბაბით პრესასთან დამალვის ხრიკები. ამ დუმილიდანც ჩანს, რომ რაღაც ისე ვერაა, ივანიშვილის ერთობასთან კონსულტაციები ან ჯერ არ დასრულებულა, ან წარუმატებლად დასრულდა და ამის გახმაურებისგან ორივე მხარე თავს იკავებს. „ახალი თაობის“ ინფორმაციით, ივანიშვილი კახა შარტავას ისეთივე „ინდივიდუალურ“ სტატუსს სთავაზობდა, როგორიც „ეროვნულმა საბჭომ“ მიიღო, უფრო კონკრეტულად – ორ ადგილს შარტავასა და სანიკიძისთვის, მაგრამ ამბიციურ ფორუმს ეს არ აკმაყოფილებს. ისინი „ძირითად სასტავში“ თამაშს მოითხოვენ.

ასეა თუ ისე, ძალიან მალე პარტია „ქართული ოცნება“ დაფუძნებას იზეიმებს და მას სათავეში ეკატერინა ხვედელიძე-ივანიშვილისა ჩაუდგება. იმის გარდა, რომ მილიარდერის მეუღლე და ოთხი შვილის დედაა, მასზე მეტი არაფერია ცნობილი, სხვათა შორის, არც განათლება და პროფესია. ნაციონალური მედიით გავრცელებული ინფორმაციით, პროფესიით ექთანია,

ეკა ხვედელიძე საზოგადოებაში გამოჩენისას ყოველთვის მეუღლეს იყო ამოფარებული, ამიტომ მუსირებდა აზრი, რომ მას საჯარო განცხადებების გაკეთება გაუჭირდებოდა, თუმცა, პირველი კომენტარიდან გამოჩნდა, რომ მეუღლეზე უკეთესი ორატორია, მაგრამ ერთი იაღლიში მაინც მოუვიდა, მთლად კარგად არ გამოუვიდა ნათქვამი – ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რაც კარგი იქნება ჩემი ოჯახისა და სამშობლოსთვისო. პოლიტიკაში გამოცდილი ადამიანი ოჯახს ამ კონტექსტში ნამდვილად არ ახსენებდა. ისიც თქვა, რომ პოლიტიკას მეუღლისგან სწავლობს, თუმცა, უფროსი ივანიშვილისგან პოლიტიკას ვერ ისწავლის, იმიტომ რომ, თავად ბიძინაც ახლა სწავლობს პოლიტიკის ანბანს.

# სააკაშვილმა ლაზიკას მშენებლობა დააჩქარა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მების მთავარი სექტორია საქართველოში.

იმ დროს, როდესაც სააკაშვილი ლაზიკას რეგიონში ტურიზმისა და ინდუსტრიის გაზრდის საშუალებად აცხადებს, ოპონენტები მას, როგორც უადგილო პრიორიტეტს, გმობენ, რადგან ქვეყანაში უმუშევრობა და სიღარიბე მატულობს. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 15.5% უმუშევარია, რაც თითქმის 3%-ით მეტია, ვიდრე 2004 წლამდე იყო, ანუ მანამდე, სანამ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა.

იმავე გამოცემის ცნობით, სამეგრელოში, რეგიონში, რომელმაც ლაზიკას უნდა უმასპინძლოს, ოდესღაც რუსეთთან ვაჭრობაზე დამოკიდებული პატარა მეურნეობები დაცემისკენ მიდის, რადგან 2006 წელს რუსეთმა ბევრ ქართულ პროდუქტზე ეკონომიკური ემბარგო დააწესა. იმ მიხვეულ-მოხვეული გზის გასწვრივ, რომელსაც პროექტის ადგილსამყოფელისკენ მივყავართ, ცოტაა ნიშანი იმისა, რომ საკურორტო ქალაქმა ანაკლიამ, სააკაშვილის საყვარელმა პროექტმა (გადმოცემით, ეს პროექტი 60 მილიონი ღირს), ადგილობრივ მცხოვრებლებს კეთილდღეობა მოუტანა.

ქალაქ ქუთაისში პარლამენტის შენობა, რომელიც, როგორც ამბობენ, 55 მილიონი ლარი დაჯდა, კიდევ ერთი ისეთი პროექტია, რომელიც უამრავი დისკუსიის მიზეზი გახდა მისი არქიტექტურისა და მშენებლობის პროცესის გამო. ნაგებობის დიზაინმა, გარს შემორტყმული თხრილით, რამდენიმე კარგი რეცენზია დაიმსახურა.

– იმავეს ვერ ვიტყვით მშენებლობის ხარჯების ტრანსპარენტულობასთან დაკავშირებით, – განაცხადა ქეთი ხუციშვილმა, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ აღმსარულებელმა დირექტორმა.

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა გრანტიორებმა ბევრჯერ ითხოვეს ინფორმაცია (პარლამენტის მშენებლობის დაფინანსების შესახებ), ჩვენ ვერ გავიგეთ, საიდან დაფინანსდა მშენებლობა, ნაციონალური, თუ ქუთაისის მუნიციპალური ბიუჯეტიდან. მიუხედავად ბევრი რეფორმისა, საბიუჯეტო დანახარჯების სფეროში (2012 წელს კიდევ მეტია მოსალოდნელი), სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურული პროექტები ქვეყანაში ყველაზე ნაკლებად ტრანსპარენტული აღმოჩნდა, – განაცხადა ხუციშვილმა.

მიუხედავად კითხვებისა, რომლებიც ხარჯებთან დაკავშირებით ჩნდება, პარლამენტის ახალი შენობა და სხვა საჯარო ნაგებობები ხელისუფლების მიერ ისე განიხილება, როგორც თბილისის რეფორმებისადმი ერთგულების ხელშესახები სიმბოლოები.

მაგრამ, ოპონენტების მტკიცებით, საჯარო მშენებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობა დემოკრატიზაციას აყენებს ეჭვქვეშ.

– ჩვენ არ ვიცით, რა გაკეთდა ჩვენი ფულით, გადასახადებით, რომლებსაც ვიხდით და რა გაკეთდა შემოწირულობებით, გრანტებით შეერთებული შტატებიდან, ევროპის კავშირიდან, მსოფლიო ბანკიდან და ა.შ. – ამბობს მარინა მუსხელიშვილი, სოციალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.

ასე რომ, ლაზიკას პროექტს უკვე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც აკრიტიკებენ. მომავალ ქალაქ ლაზიკაზე ვსაუბრობთ, თორემ ისტორიული ლაზიკა იყო მხარე დასავლეთ საქართველოში. ცნობილია, რომ ის ფეოდალური ხანის ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია გახლდათ. ის მოიცავდა ტერიტორიას მდ. რიონის ქვემო დინებასა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის (გვიანდელი გურია, საჯავახო-საჩინოს ჩათვლით და შავი ზღვის აჭარის სანაპირო მხარე). პირველად მოიხსენიება VII საუკუნეში ანონიმური ავტორის „სომხურ გეოგრაფიაში“ („ლაზივის“ სახელწოდებით). ბიზანტიელი ავტორები დასავლეთ საქართველოს ლაზიკის სამეფოს უწოდებდნენ. პროკოპი კესარიელის (VI საუკუნე) მიხედვით, ეს ტერიტორია სრულიად დაუსახლებელი ყოფილა, ხოლო აგათია სქოლასტიკოსი (VI საუკუნე) ლაზიკის ტერიტორიაზე ასახელებს ციხესიმაგრე ტელეფისს (მკვლევრები აიგივებენ ახლანდელ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში არსებული ციხესიმაგრის ნანგრევებთან). აქვე ყოფილა ქიტროპოლია, თიხის ჭურჭლეულით სავაჭრო ადგილი. VI საუკუნის II ნახევარში ლაზიკაში შენდება ცნობილი ციხე-ქალაქი და საეპისკოპოსო ცენტრი პეტრა (ახლანდელი სოფ. ციხისძირი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი). VIII საუკუნიდან ლაზიკის პროვინციის უდიდესი ნაწილი გურიის სახელით მოიხსენიება.

რაც შეეხება მიშას ლაზიკას, ის ქალაქ ფოთთან უნდა აიგოს და გაუგებარია – რატომ, როცა იქვეა, მაგალითად, იგივე ფოთი, რომლის აშენება და დამშვენება უფრო კეთილშობილური საქციელი იქნებოდა.

# „საბა–2012“ დაიწყო

ლიტერატურული კონკურსი „საბა-2012“ დაიწყო. 17 იანვრიდან თიბისი ბანკმა ოფიციალურად გამოაცხადა ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურს „საბაზე“ განაცხადების მიღება. როგორც თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა მაია ძირკველიშვილმა განაცხადა, ლიტერატურული პრემია „საბას“ რიგით მე-10 დაჯილდოება 2012 წლის ზაფხულში გაიმართება და მასზე მოხდება გასული, 2011 წლის საუკეთესო წიგნების და ავტორების დასახელება. კონკურსის პირველი ეტაპი საკონკურსო წიგნების წარდგენას გულისხმობს, რომლის ვადაც 10 თებერვალია.

– ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბას“ დამფუძნებლები არიან თიბისი ბანკი, ტელეკომპანია „რუსთავი-2“ და პენ-ცენტრი. პრემიის მიზანია გასული ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო წიგნების და ავტორების გამოვლენა. პრემიის საორგანიზაციო ჟიური მუშაობას უკვე შეუდგა. „საბაზე“ წიგნების წარდგენა 10 თებერვალს დასრულდება, რის შემდეგაც მუშაობას შეუდგება 5-კაციანი ჟიური, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გაეცნობა და შეაფასებს 2011 წლის ლიტერატურულ პროდუქციას. 2011 წელს გამოცემული წიგნების პრემიაზე წარდგენა შეუძლიათ როგორც გამომცემლობებს, ისე უშუალოდ წიგნის ავტორებს. „საბაზე“ განიხილება გასულ წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები – რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა, უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე ლიტერატურული კრიტიკის და დოკუმენტური პროზის ნიმუშები, – განაცხადა მაია ძირკველიშვილმა.

ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ლიტერატურული პრემია „საბა“ გაიცემა შემდეგ ნომინაციებში – წლის საუკეთესო რომანი, წლის საუკეთესო პოეტური კრებული, წლის საუკეთესო პროზაული კრებული, წლის საუკეთესო თარგმანი, წლის საუკეთესო პიესა, წლის საუკეთესო კრიტიკა, წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა, წლის საუკეთესო დებიუტი, პრემია ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემიები. საპრემიო ფონდი 40.000 ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

– საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჟიურის შემადგენლობა მუდმივი არ არის. მასში შედიან ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება. იმ გამომცემლობებმა და ავტორებმა, რომლებმაც 2011 წლის განმავლობაში გამოსცეს წიგნები ზემოთ ჩამოთვლილი ნომინაციების შესაბამისად, 10 თებერვლამდე უნდა მიაწოდონ პრემიის ორგანიზატორებს შემდეგი ინფორმაცია – წიგნის სახელწოდება, ავტორის სახელი, გვარი, გამომცემლობის სახელწოდება, ნომინაცია (რომელშიც ხდება წიგნის წარდგენა) და ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია, – აღნიშნა მაია ძირკველიშვილმა.

2012 წელი თიბისი ბანკის საიუბილეო წელია, მას დაარსებიდან 20 წელი უსრულდება. იუბილარია თავად ლიტერატურული პრემია „საბაც“. იგი 10 წლისაა. სწორედ ამიტომ თიბისი ბანკის მესვეურები ირწმუნებიან, რომ 2012 წელი მისი მომხმარებლებისათვის განსაკუთრებით გამორჩეული და სიურპრიზებით დახუნძლული იქნება.

# ჰოროსკოპი

14 იანვრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – ახალი საქმე ძალიან, ძალიან მოგეწონებათ. **ქალწული** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ. **სასწორი** – ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ. **მშვილდოსანი** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თხის რქა** – არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **მერწყული** – საჩუქარი მოგეწონებათ, კარგ ხასიათზე დადგებით. **თევზები** – დაზოგეთ ფული, სულ ნუ მიახარჯავთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!



# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება მე-19 საუკუნის საქართველოში; 2. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბბინა; 3. ოსმალთა სახელწოდება ევროპაში; 4. ბუდიზმის ფუძემდებელი; 5. დამუხტული ელექტრონული ნაწილაკების მოძრაობის ამაჩქარებელი რეაქტორი; 10. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში, მოდელი; 11. პოპულარული პარკი თბილისში; 12. ქართველი ქალთა თავსაბურველი; 13. აეროპორტი ბუქარესტში; 16. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 17. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 19. ორსართულიანი ბრიტანული ავტობუსი; 21. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. ბელინის ოპერა.

**თარაზულად:** 6. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონებაში; 7. სპორტიანი სასმელების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. წიგნების ზედა ნოყიერი ფენა; 9. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 14. სიმღერის შესრულების იტალიური მანერა; 15. ეკლესიის მნათე ძველებური სახელწოდება; 18. სატყირის მძლეოსნური იარაღი; 20. გადასახსნელ-სახურავიანი ძველებური ეტლი; 22. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. ახლად ამოსული პურის ყანა; 25. მხლის ქართული ჯიში; 26. მშრალი, ცხელი ქარი უდაბნოში.

შეადგინა თ.კოპალიშვილმა

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბატარეა; 2. აპატრიდი; 3. წირქოლი; 5. სელადონი; 7. დიოგენი; 9. ხევსურეთი; 13. მორთული; 15. ლეჟავა; 16. ჩაპალი; 18. ტროპი.

**თარაზულად:** 4. „კავასაკი“; 6. დეპრესია; 8. მალალაშვილი; 1(0. ტუგრიკი; 11. ვალი; 12. ინტერი; 14. ალუფი; 17. „პრადო“; 19. აჟური; 20. სამთავრო; 21. იგლუ; 22. მანჭკვალა; 23. ხითხითი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაიკალი; 2. დეპარდიე; 3. „მზეჭაბუკი; 4. მორთული; 5. ნიშნიანიძე; 10. „ბოინგი“; 11. კარტინგი; 12. არომატი; 13. დიონისე; 16. ბუშმეკერი; 17. ქობულეთი; 19. ალბანეთი; 21. ვიშნუ; 23. „რეალი“.

**თარაზულად:** 6. „მარსელიოზა“; 7. „როლექსი“; 8. ჯაფარა; 9. პაპიროსი; 14. პირინგი; 15. შოთლავიში; 18. დოგმა; 20. მოლუსკი; 22. ვერმუტი; 24. სინხვა; 25. ფეთხაინი; 26. გელათი.

# ქართულ რაგბიში ცვლილებებია: თასის გათამაშება უქმდება

საქართველოს 2012-13 წლების პირველობა შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპით გაიმართება.

საამისოდ განხორციელდება მთელი რიგი ცვლილებები. კერძოდ, უმაღლეს ლიგაში რვის ნაცვლად 10 გუნდი ითამაშებს.

გუნდები, ტრადიციულად, ორ წრედ ითამაშებენ, შინ და გარეთ და გამარჯვებულის ვინაობას პლეიოფის სისტემით გაარკვევენ.

გაუქმდება მეორე ლიგა. იქ მოთამაშე და ახლადშექმნილი გუნდები აღმოსავლეთ და დასავლეთ დივიზიონებად დაყოფილ პირველ ლიგაში გაერთიანდებიან. ამ ლიგაში 16 გუნდი იასპარეზებს: დასავლეთ დივიზიონში გამოვლენ: ქუთაისის „ბაგრატი", ფოთის „რაინდები", ოზურგეთის „არწივები", საჩხერის „ჯრუჭი", ბათუმის „დელფინები" და სენაკის „ნოქალაქევი".

აღმოსავლეთში — პატარძეულის „ვეფხვები," თბილისის „ხულიგანა" და „დევები", „თიბისი", „დინამო", „ტორნადო", „ბარბაროსები", „მგლები", „სტუ" და „ივერია".

ორივე დივიზიონში გუნდები ორ წრედ ითამაშებენ. ორ-ორი საუკეთესო ოთხგუნდა ჯგუფს შექმნის, რომელშიც ასევე ორწრიანი ტურნირი ჩატარდება. ორი საუკეთესო კი უმაღლესი ლიგის ორ უარესთან გადათამაშებაში შეეცდება რანგით მაღალი ლიგის საგზურის მოპოვებას.

შემოდგომა-გაზაფხულის სისტემა სექტემბრიდან ამოქმედდება და 2013 წლის გაზაფხულზე დასრულდება. მანამდე, წლეულს, 18 თებერვალს, ე.წ. გაზაფხულის გარდამავალი ტურნირი აიღებს სტარტს, რომლის პირველ ეტაპზე პირველი ლიგის გუნდები იასპარეზებენ. აღმოსავლეთისა და დასავლეთის დივიზიონების გამარჯვებულები უმაღლეს ლიგას დაემატებიან.

31 მარტიდან „გაზაფხულის გარდამავალ ტურნირში" უმაღლესი ლიგის გუნდები ჩაერთვებიან. ორჯგუფა თორმეტგუნდა ტურნირი, სავარაუდოდ, 26, ან 27 მაისს დასრულდება. პირველ ჯგუფში ითამაშებენ: „არმია", „ლელო", „არმაზი", „ყოჩები", „ბათუმი 15" და დასავლეთ დივიზიონის გამარჯვებული. მეორე ჯგუფი: „აია", „ლოკომოტივი", „ხარები", „აკადემია", „ჯიქები" და აღმოსავლეთ დივიზიონის გამარჯვებული.

წლეულს შეიცვლება ქულათა დარიცხვის სისტემაც: მოგებული გუნდი 4 ქულას მიიღებს, ამასთან, თუ მეტოქეს მინიმუმ სამით მეტ ლელოს გაუტანს, ერთი პრემიალური ქულა ერგება. ასევე შეუძლია პრემიალური ქულა მოიპოვოს წაგებულმა გუნდმაც, იმ შემთხვევაში, თუ შვიდი და ნაკლები ქულით დამარცხდება. ფრე 2 ქულაა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს თასის გათამაშება უქმდება.

# ფაჩულია სათადარიგოებში დააბრუნეს



„ატლანტა ჰოუქსმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა. „ქორებმა" საკუთარ, „ფილიპს არენაზე" „ტორონტო" 93:84 დაამარცხა. ატლანტელებს იოლად არ მოუგიათ. ბოლო მეოთხედის წინ ტორონტოელები 2 ქულით მიუახლოვდნენ მასპინძლებს, მაგრამ ფავორიტად მიჩნეულმა გუნდმა საბოლოოდ მაინც მოახერხა გამარჯვების მოპოვება.

ალ ჰორფორდის ტრავმის შემდეგ 2 მატჩში თამაშს ზაზა ფაჩულია იწყებდა, თუმცა, ატლანტელთა ხუთეულში ცენტრის პოზიციაზე ამჯერად ჯეისონ კოლინსი გამოჩნდა. სამარქაფო ცენტრმა თავი ვერაფრით გამოიჩინა და 13-წუთიანი გარჯა 0 ქულით, 2 მოხსნითა და 1 პასით დაასრულა.

ფაჩულიამ კოლინსზე მეტი – 17,38 წუთი ითამაშა და 6 ქულასთან ერთად 3 მოხსნაც მიითვალა. ზაზას ტორონტოელთა ფარისთვის თამაშიდან არ შეუტევია, 6 საჯარიმო ტყორცნა და ყველა ჩააგდო. ატლანტელთაგან საუკეთესო ჯოშ სმიტი გახდა, რომელმაც 28 ქულა და 15 მოხსნა დააგროვა.

„ატლანტა" 10 მოგებითა და 4 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციის გაერთიანებულ ცხრილში „ორლანდოსთან" და „ინდიანასთან" ერთად 3-4 ადგილებს ინაწილებს. მომდევნო შეხვედრას ფაჩულიას გუნდი 19 იანვარს, გამთენიისას, შინ, „პორტლენდთან" გამართავს.

# დილა და ზესტაფონი ისევ იგებენ

საქართველოს ჩემპიონატში შესვენება კი არის, მაგრამ გუნდები უკვე აქტიურად ემზადებიან ახალი სეზონისთვის და ეს მხოლოდ შეკრებებითა და მოსამზადებელი პროცესით არ არის გამოწვეული. თითქმის დღე არ გავა, რომ რომელიმე გუნდში რაიმე სატრანსფერო ცვლილება არ მოხდეს.

ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. იმერული კლუბის ვებგვერდის ცნობით, 27 წლის ცენტრალურმა მცველმა ალექსანდრე კვახაძემ რიონისპირელებთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კვახაძემ 23-ე ეროვნული ჩემპიონატის უკვე გავლილი ნაწილი რუსთავის „მეტალურგში" გაატარა. გუნდების ზამთრის შესვენებაზე გასვლისთანავე გამოცხადდა, რომ იგი ქვემოქართლურ კლუბში არ გააგრძელებდა კარიერას და გუნდმაც ტრანსფერზე დააყენა. სავარაუდოდ, მისი გადაბირება რიონისპირელებს 40.000 დოლარი დაუჯდათ.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის საგაზაფხულო ეტაპისთვის ცხინვალის „სპარტაკი" 4 იანვრიდან საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" ახალ სტადიონ „ბენდელაზე" ვარჯიშობს.

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდში თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობიდან დამატებულებზე (გიორგი ნადირაძე, მიხეილ ჯიშკარიანი, ლაშა ჩაფიძე, კონსტანტინე გაბაშვილი) უკვე ვწერდით. შიდაქართლელთა ვებგვერდის ცნობით, „სპარტაკის" რიგებში 5 ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა — 29 წლის მცველი, სერგი ორბელაძე, რომელმაც მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი რუსთავის „მეტალურგში" გაატარა, 23 წლის მცველი, ლევან ჭაფოძე, რომელიც მარტვილის „მერანიდან" დაუბრუნდა „სპარტაკს" და 23 წლის გურამ მიქაძე ბელგიის მე-4 ლიგის ბ ჯგუფის ბოლოადგილოსან „კატელინეში" თამაშობდა. ამ ფეხბურთელთა გარდა, ცხინვალელთა რიგებში ისინჯებიან მცველები — გიორგი ლოლაძე და გიორგი გველესიანი. ამ უკანასკნელმა მიმდინარე ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში არაერთი მატჩი ჩაატარა. ვებგვერდის ცნობით, ამ ფეხბურთელთა „სპარტაკში" დარჩენა-არდარჩენის საკითხს მწვრთნელები იანვრის ბოლოსთვის გადაწყვეტენ.



ცხინვალელები მხოლოდ თბილისში ვარჯიშით არ შემოიფარგლებიან. გუნდი საწვრთნელ-მოსამზადებელ შეკრებაზე ურეკში გაემგზავრება. ზღვისპირეთში გამგზავრებამდე კი „სპარტაკი" ამხანაგურ მატჩსაც გამართავს „გაგრასთან".

მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა გორის „დილამ". გორელთა შემადგენლობაში რადიკალური ცვლილებებია და ბევრი ახალი ფეხბურთელი ისინჯება. ბირთვის შესარჩევად თემურ მახარაძე ხშირ სპარინგებზე აკეთებს აქცენტს. ამჯერად შიდაქართლელთა მეტოქე რევაზ ძოძუაშვილის საფეხბურთო აკადემიის გუნდი იყო, რომელშიც, ტრადიციისამებრ, უგუნდოდ დარჩენილი ფეხბურთელები თამაშობენ.

„დილამ", რომელმაც ტაიმებში სრულიად განსხვავებული შემადგენლობით ითამაშა, 4:1 იმარჯვა. გამარჯვებულთაგან გოლები ნოდარ ნოზაძემ, რევაზ ჯიქიამ (2) და ბესიკ დეკანოიძემ გაიტანეს, უგუნდოებიდან გოლი დიაკონიძის ანგარიშზეა.

თემურ მახარაძემ „დილა" ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

1 ტაიმი: მერლანი, ლომიძე, ახვლედიანი, ქარქუზაშვილი, სადაღაშვილი, თათხაშვილი, ბურდული, მდივნიშვილი, დ.ჩაგელიშვილი, ახალკაცი, ნოზაძე.

მე-2 ტაიმი: შეყრილაძე, ჭაავა, ინწკირველი, კაშია, ბეჭვაია, ჯოჯუა, ხუბუა, დეკანოიძე, მეგრელიშვილი, ჯიქია, ლექვთაძე.

ახალი წლის დადგომის შემდეგ „ზესტაფონმა" პირველი მატჩი გამართა. გასული სეზონის გამარჯვებული ზესტაფონში გამართულ სპარინგ-შეხვედრაში ეროვნული თასის მოქმედ მფლობელ საფეხბურთო კლუბ „გაგრას" დაუპირისპირდა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ფეხბურთის უმაღლესი ტიტულების მფლობელები ერთმანეთს ზესტაფონელთა ბაზაზე დაუპირისპირდნენ და მატჩს 300-მდე ადგილობრივი ქომაგი დაესწრო. გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით იასპარეზეს:

ზესტაფონი: კვასხვაძე (მამალაძე 46), ღონღაძე (თორნიკე გრიგალაშვილი 46), თედო გრიგალაშვილი (კობახიძე 46), ონიანი (საჯაია 46), ბენაშვილი (ელიავა 34), ბერაია (გორგიაშვილი 46), შარიქაძე (ბაბუნაშვილი 46), რაჟამაშვილი (სამუშია 46), ჭანკოტაძე (აფციაური 46), ფიფია (მუჯირი 32); მენთეშაშვილი 60), წინამძღვრიშვილი (დვალი 46)

გაგრა: ბეგაშვილი (მაღრაძე 46), ტყეშელაშვილი (კალანდაძე 81), ჯგერენაია, ხუციძე (ზვიადაძე 82), კალანდაძე (ნარმანია 70), ყურულაშვილი (ნადირაძე 46), ჯალიაშვილი (ხოჯაშვილი 50), სარდალიშვილი (კიკნაველიძე 41), ნ. ჯიშკარიანი (თ. ჯიშკარიანი 50), ჯერემია, ჭკუასელი (კვანტალიანი 46)

შეხვედრის საწყისი წუთები ზესტაფონელთა უპირატესობით წარიმართა და უკვე მე-6 წუთზე მასპინძლებმა ანგარიშში დაწინაურება მოახერხეს – თეიმურაზ ღონღაძის კარგი გადაცემის შემდეგ დავით რაჟამაშვილი სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა და თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში სადებიუტო გოლიც გაიტანა. 28-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა – ნიკოლოზ ჯიშკარიანმა თავისი შანსი ცივსისხლიანად გამოიყენა. ამის შემდეგ გაიხარა თავად და გაახარა ქომაგები ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მწყობრში დაბრუნებულმა რატი წინამძღვრიშვილმა – მან სტუმართა კარი შორიდან უძლიერესი დარტყმით 39-ე წუთზე დალაშქრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიშში მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა – ჯერ ზესტაფონელთა რიგებში პირველი გატანილი გოლით თავი გამოიჩინა დავით მუჯირმა, რომელმაც 49-ე წუთზე მიზანს მისთვის დამახასიათებელ სტილში, უძლიერესი დარტყმით მიაღწია, 52-ე წუთზე კი თავი უკვე ჯაბა დვალმა გამოიჩინა. 59-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული ჯარიმა ეფექტური დარტყმით გოლად გაგრელმა ნუგზარ ხოჯაშვილმა აქცია. მატჩის საბოლოო ანგარიში კი 69-ე წუთზე დაფიქსირდა – ჯაბა დვალმა დღევანდელ შეხვედრაში რიგით მეორე გოლიც ძალიან ეფექტურად გაიტანა.

საბოლოოდ გამარჯვება ზესტაფონელებს დარჩათ – 5-2.

შემდეგ სპარინგ-მატჩს მარგველები 24 იანვარს გამართავენ – ზესტაფონს მარტვილის საფეხბურთო კლუბი „მერანი" ესტუმრება.

საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიასა" და ფეხბურთელ ნიკა დაუშვილს შორის 3-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

ამ ფეხბურთელის გადაყვანა „ვიტ ჯორჯიაში" ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში იგეგმებოდა, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა – ნიკა დაუშვილს ცხინვალის „სპარტაკთან" კონტრაქტი აკავშირებდა და შეთანხმება ვერ შედგა. ამჯერად კლუბები უპრობლემოდ შეთანხმდნენ.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

უიგანი-სიტი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 21 | 16 | 3 | 2 | 57:16 | 51 |
| 2.მანჩესტერი | 21 | 15 | 3 | 3 | 52:20 | 48 |
| 3.ტოტენჰემი | 21 | 14 | 4 | 3 | 39:21 | 46 |
| 4.ჩელსი | 21 | 12 | 4 | 5 | 40:25 | 40 |
| 5.არსენალი | 21 | 11 | 3 | 7 | 38:30 | 36 |
| 6.ნიუკასლი | 21 | 10 | 6 | 5 | 30:25 | 36 |
| 7.ლივერპული | 21 | 9 | 8 | 4 | 24:18 | 35 |
| 8.სტოკი | 21 | 8 | 6 | 7 | 22:31 | 30 |
| 9.ნორვიჩი | 21 | 7 | 7 | 7 | 32:36 | 28 |
| 10.სუონსი | 21 | 6 | 8 | 7 | 23:25 | 26 |
| 11.ევერტონი | 21 | 7 | 4 | 10 | 21:25 | 25 |
| 12.სანდერლენ. | 21 | 6 | 6 | 9 | 27:24 | 24 |
| 13.ას.ვილა | 21 | 5 | 9 | 7 | 23:27 | 24 |
| 14.ფულემი | 21 | 5 | 8 | 8 | 23:29 | 23 |
| 15.ვ.ბრომვიჩი | 21 | 6 | 4 | 11 | 20:30 | 22 |
| 16.ვულვზი | 21 | 4 | 6 | 11 | 23:37 | 18 |
| 17.ბლექბერნი | 21 | 4 | 5 | 12 | 32:44 | 17 |
| 18.ქპრ | 21 | 4 | 5 | 12 | 19:36 | 17 |
| 19.ბოლტონი | 21 | 5 | 1 | 15 | 25:46 | 16 |
| 20.უიგანი | 21 | 3 | 6 | 12 | 18:42 | 15 |

### იტალია. სერია ა

ნაპოლი-ბოლონია ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 18 | 10 | 8 | 0 | 29:12 | 38 |
| 2.მილანი | 18 | 11 | 4 | 3 | 37:17 | 37 |
| 3.უდინეზე | 18 | 10 | 5 | 3 | 26:13 | 35 |
| 4.ლაციო | 18 | 9 | 6 | 3 | 26:17 | 33 |
| 5.ინტერი | 18 | 10 | 2 | 6 | 28:19 | 32 |
| 6.ნაპოლი | 18 | 7 | 7 | 4 | 33:20 | 28 |
| 7.რომა | 17 | 8 | 3 | 6 | 23:19 | 27 |
| 8.ატალანტა | 18 | 6 | 8 | 4 | 23:23 | 26 |
| 9.ჯენოა | 18 | 7 | 3 | 8 | 22:29 | 24 |
| 10.კიევო | 18 | 6 | 5 | 7 | 14:20 | 23 |
| 11.კალიარი | 18 | 5 | 7 | 6 | 16:18 | 22 |
| 12.კატანია | 17 | 5 | 7 | 5 | 20:25 | 22 |
| 13.პარმა | 18 | 6 | 4 | 8 | 24:32 | 22 |
| 14.ფიორენტინა | 18 | 5 | 6 | 7 | 18:16 | 21 |
| 15.პალერმო | 18 | 6 | 3 | 9 | 19:24 | 21 |
| 16.ბოლონია | 18 | 5 | 4 | 9 | 17:25 | 19 |
| 17.სიენა | 18 | 4 | 6 | 8 | 19:19 | 18 |
| 18.ჩეზენა | 18 | 4 | 3 | 11 | 12:25 | 15 |
| 19.ლეჩე | 18 | 3 | 3 | 12 | 18:34 | 12 |
| 20.ნოვარა | 18 | 2 | 6 | 10 | 18:35 | 12 |

### იტალია. სერია ბ

პესკარა-ვერონა ........ 3:1

### ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი

მაასტრიხტი-ტილბურგი ........ 3:1

ჰელმონდი-აპელდორნი ........ 1:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-გაზიანთები ........ 1:1

მანისა-ფენერბახჩე ........ 1:2

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული ჩემპიონატი

მემფისი-ჩიკაგო ........ 102:86

ნიუ იორკი-ორლანდო ........ 93;102

ვაშინგტონი-ჰიუსტონი ........ 106:114

ფილადელფია-მილუოკი ........ 94:82

შარლოტი-კლივლენდი ........ 92:102

ნიუ ორლეანი-პორტლენდი ........ 77:84

კლიპერსი-ნიუ ჯერსი ........ 101:91

ატლანტა-ტორონტო ........ 93:84

ზაზა ფაჩულია: 6 ქულა, 3 მოხსნა

ბოსტონი-ოკლაჰომა ........ 88:97

მინესოტა-საკრამენტო ........ 99:86

ლეიკერსი-დალასი ........ 73:70

## წყალბურთი

### ეჩ-2012. წინასწარი რაუნდი

მაკედონია-თურქეთი ........ 16:4

ხორვატია-რუმინეთი ........ 10:7

გერმანია-ჩერნოგორია ........ 7:13

სერბეთი-ესპანეთი ........ 8:5

საბერძნეთი-ჰოლანდია ........ 12:14

უნგრეთი-იტალია ........ 12:8

## ხელბურთი

### ევროპის ჩემპიონატი

ნორვეგია-სლოვენია ........ 28:27

ხორვატია-ისლანდია ........ 31:29

უნგრეთი-რუსეთი ........ 31:31

## ჩოგბურთი

### ავსტრალიის ღია პირველობა

ბოგომოლოვი-ხიმენო ტრავერი ........ 6:3;6:2;6:4

ნიშიკორი-რობერი ........ 6:1;7;6;6:0

გასკე-სეპი ........ 6:3;3:6;6:3;6:1

პეშნერი-როსოლი ........ 6:0;6:0;6:0

ფერერი-მაშადუ ........ 6:1;6:4;6;2

ჰირალდო-ვიოლა ........ 6:4;6:2;6:1

იუჟნი-გოლუბევი ........ 5:7;7:6;4:6;6:4;3:6

ჯოკოვიჩი-ლორენცი ........ 6:2;6:0;6:0

მალისე-როჯერ ვასელინი 6:7;0:6;0:6

ჩალე-რასელი ........ 7:6;6:3;6:4

ტიპსარევიჩი-ტურსუნოვი 5:7;7:6;6:3;6:4

ლოდრა-გულბისი ........ 2:6;6:1;6;2;6:2

სტარაჩე-იყო ........ 3:6;6:4;3:6;4:6

ზოპი-დაკვორტი ........ 3;6;4:6;4:6

სვიტინგი-ბაჰინგერი ........ 6:4;6;4;6:2

გრანოლერსი-ლევაინი 6:0;7:6;5:7;5:7;6:3

მონფილსი-მატოსევიჩი ........ 7:6;6;3;6:3

მიურეი-ჰარისონი ........ 4;6;6;3;6;4;6:2

კუნიცინი-ანდუჰარი ........ 1;6;6:7;0:6

ბაუტისტა-მელო ........ 4;6;4:6;5:7

ბელუჩი-სელა ........ 7:6;6:4;6:3

შტეპანეკი-მაიუ ........ 5;7;5:7;3:7

ებდენი-სოზა ........ 6:3;7:6;6:2

დოდიგი-ჟილი ........ 6:2;1:6;1:6;1:6

სიმონი-უდომჩოკე 6;1;3;6;6:7;6;3;6:2

როდიკი-ჰაასე ........ 6:3;6;4;6:1

გარსია ლოპესი-კუკუშკინი 4;6;3;6;0:6

ბენეტო-ბეცკი ........ 6:4;6;2;7;5

ცონგა-ისტომინი ........ 6;4;3;6;6:2;7:5

### ქალები

ბეგუ-სუარეს ნავარო ........ 1:6;5;7

ვოხნიაკი-ჩჟანი ........ 6:3;6:3

ჰრადეცკა-როდინა ........ 6;3;6:1

კვიტოვა-დუშევინა ........ 6:2;6:0

კინგი-ბონდარენკო კ. ........ 7:6;6:3

კირილენკო-გაიდიშოვა ........ 6;4;6:2

ლისიცკი-ფოგელი ........ 6:2;4:6;6:4

პავლუჩენკოვა-ზაკოპალოვა 7:6;6:1

პეერი-ჰოლანდი ........ 6:2;6:0

ციბულკოვა-რიბარიკოვა ........ 6;3;6:1

მარინო-არნი ........ 4;6;2:6

შარაპოვა-დულკო ........ 6:0;6;1

ჩაკვეტაძე-დოკიჩი ........ 2:6;1:6

ჰემპტონი-მინელა ........ 6:1;6:1

კანეპი-ლარსონი ........ 6;2;6:4

ზვონარევა-დულჟერუ ........ 7:6;6:7;6:3

სტოსური-კირსტეა ........ 6:7;3:6

ერანი-სავინიხი ........ 6:2;6:1

ვინჩი-კადანტუ ........ 6:0;6:1

ბარტოლი-რაზანო ........ 7:5;6:0

კრაიჩეკი-ბარუა ........ 6:3;7:6

რისკე-რადვანსკა უ. ........ 4:6;6:1;2:6

ვესნინა-დიუბუა ........ 4;6;6:1;4:6

მაკაროვა-ტანასუგარნი ........ 6;0;2;6;6:0

კუზნეცოვა-სჰეპერსი ........ 6:3;3:6;6:0

პეტროვა-ჰლავაჩკოვა ........ 6:3;3:6;6:0

ივანოვიჩი-დომინგეს ლინო ........ 6:0;6:3

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი

აილენდერსი-ნეშვილი ........ 1:3

ფინიქსი-კოლორადო ........ 6:1

დეტროიტი-ბუფალო ........ 5:0

ოტავა-ვინიპეგი ........ 0:2

სენტ ლუისი-დალასი ........ 1:0

ფლორიდა-ბოსტონი ........ 2:2(0:1ბ)

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მეტალურგმა თექთურმანიძე და თოდუა დაიმატა

ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა რუსთავის „მეტალურგიც". კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები ჯერ ადგილზე ემზადებიან და საკონტროლო მატჩებიც აქვთ დაგეგმილი. ქვემოქართლელები 17 იანვარს ბოლნისის „სიონს" უმასპინძლებენ, 20-ში კი „ამერის" სტადიონზე გორის „დილას" შეხვდებიან.

25 იანვრიდან რუსთაველები ანტალიაში გადაინაცვლებენ, იქ 6 თებერვლამდე დარჩებიან და ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ: 27 იანვარს ტირასპოლის „შერიფთან", 30-ში – ყაზახურ „ასტანასთან", 2 თებერვალს – რუმინულ „სპორტულთან". მეოთხე მეტოქე ჯერ კიდევ ზუსტდება. სავარაუდოდ, ისიც რუმინეთის უმაღლესი ლიგიდან იქნება. სიახლე კი ის არის, რომ თბილისის „დინამოს" ცენტრალური ნახევარმცველი გიორგი თექთურმანიძე მეორე ეტაპს „მეტალურგში" ჩაატარებს. 21 წლის ფეხბურთელის ამბავი „დინამოს" ესპანეთში გამგზავრების დღეს გაირკვა – ის დინამოელებს არ გაჰყოლია.

ცნობილია, რომ ტრანსფერზეა დაყენებული „მეტალურგის" 27 წლის ცენტრალური მცველი ლექსო კვახაძე, რომელიც ძირითადი შემადგენლობიდან დათხოვნის შემდეგ დუბლებში ვარჯიშობს. ცენტრალური მცველის პრობლემის მოგვარებას „მეტალურგი" ქუთაისის „ტორპედოდან" წამოსული სევასტი თოდუას დახმარებით აპირებს.

როგორც ირკვევა, თოდუასთანაც კონტრაქტი სეზონის დასრულებამდე გაფორმდება, შემდეგ კი შესაძლოა თანამშრომლობის გაგრძელებაზეც დაილაპარაკონ.

# ნიკოლოზ ცისკარიძე პედაგოგობას ჩამოაშორეს

ეკა ირემაშვილი

რუსეთის დიდ თეატრში მოღვაწე ქართველი ბალერონი ნიკოლოზ ცისკარიძე ახალ წელს ახალი სიურპრიზით შეხვდა — ის დიდი თეატრის პედაგოგი აღარ არის. როგორც რუსული პრესა იუწყება, ამის შესახებ ქართველ მოცეკვავეს ოფიციალური ბრძანება უკვე მიუვიდა. ნიკოლოზ ცისკარიძის პედაგოგიური საქმიანობიდან ჩამოშორებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა რუსეთის კულტურის მინისტრმა ალექსანდრ ავდეევმა. რუსეთის კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ ცისკარიძის დიდ ღვაწლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ნამდვილად დიდი მოცეკვავეა.

— ნიკოლოზ ცისკარიძე რომ დიდი ხელოვანია, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. პირადად ვეუბნები მას მადლობას რუსი ხალხის სახელით იმ წარმატებისა და აღიარებისათვის, რომელიც მან ჩვენი საბალეტო კულტურის პოპულარიზაციაში გასწია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ როცა რუსული მხატვრული განათლების სისტემის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, ნიკოლოზ ცისკარიძის იმდროინდელი საჯარო გამოსვლები მის შენარჩუნებაში ძალიან დაგვეხმარა. მას დიდ შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებ. მისი ხელოვნება რუსულ კულტურაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის ბრწყინვალე მოცეკვავე და ჩვენი საბალეტო ხელოვნების სიმბოლოა, მაგრამ მისი უთანხმოება თეატრის ხელმძღვანელობასთან მხოლოდ შრომითი ხასიათისაა და მისი გადაჭრა მხოლოდდამხოლოდ თეატრის საშინაო საქმეა და მასში ჩვენ ჩარევას არ ვაპირებთ. ეს უთანხმოება არც თეატრისა და არც ცისკარიძის როლის დაკნინების მიზეზი არ უნდა გახდეს, — განაცხადა რუსეთის კულტურის მინისტრმა.

დიდი თეატრის ბალერონი ნიკოლოზ ცისკარიძე ნახევარ შტატში პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობდა. წინასაახალწლოდ მან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება მიიღო. ქართველი მოცეკვავე დარწუნებულია, რომ ის დიდი თეატრის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული კრიტიკის გამო დასაჯეს. სწორედ ამიტომ ის თეატრის გახსნის ცერემონიაზე არც სტუმრის და არც მონაწილის სტატუსით აღარ მიიწვიეს. არადა, დიდი თეატრის გახსნის დღეს ჩამონგრეულმა დეკორაციამ კინაღამ სცენის მუშა იმსხვერპლა, რომელიც სერიოზული დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. დიდი თეატრის რესტავრაციაზე 21 მილიარდი რუბლი დაიხარჯა და 6 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. განახლებული თეატრი პირადად რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გახსნა. რუსული პრესის ინფორმაციით, განახლებულ თეატრში მოხვედრა მხოლოდ გადამყიდველებთან ათმაგ ფასად შეძენილი ბილეთებით არის შესაძლებელი, ამიტომაც თეატრის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, თეატრის ბილეთები მაყურებელს მხოლოდ პასპორტის წარდგენის შემთხვევაში მიჰყიდონ.


ნიკოლოზ ცისკარიძე

— ნიკოლოზ ცისკარიძე მხოლოდ პედაგოგიურ საქმიანობას ჩამოშორდა, მის დიდი თეატრიდან გაშვებას ნამდვილად არავინ აპირებს, — განუცხადა რუს ჟურნალისტებს დიდი თეატრის გენერალურმა დირექტორმა ანატოლი ისკანოვიმ.

როდესაც ნიკოლოზ ცისკარიძემ მისი პედაგოგიური საქმიანობიდან ჩამოშორების შესახებ ბრძანება მიიღო, მან დიდ თეატრს უჩივლა. ნიკოლოზ ცისკარიძე ქორეოგრაფმა რეგინ ნიკოფოროვმა შეცვალა. რუსული პრესა წერს, რომ, თეატრის ადმინისტრაციის განცხადებით, ქართველი მოცეკვავის გათავისუფლების ინიციატორი ქორეოგრაფი იური გრიგოროვიჩი იყო.

— იური გრიგოროვიჩმა თეატრის ადმინისტრაციას მიმართა თხოვნით, მათ პედაგოგი სრულ განაკვეთში აეყვანათ, ვინაიდან ნიკოლოზ ცისკარიძე ნახევარ განაკვეთში მუშაობდა, მას წლის ბოლოს კონტრაქტი შეუწყდა, — აცხადებს თეატრის პრესსამსახურის წარმომადგენელი კატერინა ნოვიკოვა.

სულ სხვას ამტკიცებს თავად ნიკოლოზ ცისკარიძე და აცხადებს:

— თუ მათ პედაგოგი სრულ განაკვეთზე სჭირდებოდათ, თავდაპირველად ჩემთვის უნდა შემოეთავაზებინათ, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს და, თუ ჩემ ადგილას სხვას მოიყვანენ, სასამართლოში ვუჩივლებ. მთავარი პრობლემა, იცით, რა არის? ის, რომ დიდი თეატრის გენერალურ დირექტორს უკვე დიდი ხანია, თეატრი თავისი საკუთრება ჰგონია. ჩემი სურვილით თეატრის დატოვებას არ ვაპირებ, რადგან დიდი თეატრი ჩემი ცხოვრებაა, — აცხადებდა ბალერონი რუსულ პრესასთან.

როგორც ნიკოლოზ ცისკარიძემ „რია ნოვოსტის" განუცხადა, სპეციალურად მისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში წერია, რომ დიდ თეატრთან მისი პედაგოგიური საქმიანობის შესახებ დადებული ხელშეკრულება ნახევარ განაკვეთზე მუშაობის გამო შეწყდა, ვინაიდან არსებობს პედაგოგობის კანდიდატი, რომელსაც სრულ განაკვეთზე მუშაობა შეუძლია.

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდ თეატრში საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა ძალიან რთულია. ამ ვითარებაში პროფკავშირისთვის მიმართვა შემიძლია, მაგრამ მას დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სერგეი ფილინი უდგას სათავეში, ფილინთან კი კარგი ურთიერთობა არა მაქვს, — ამბობს ბალერონი.

ნიკოლოზ ცისკარიძეს 31 დეკემბერს 38 წელი შეუსრულდა. იუბილარმა ხელოვანმა განაცხადა, რომ 38 წლის ასაკში ცისკარიძის შესაფერისად ცეკვა ძალიან უჭირს.

— ჩემს დაბადების დღეს საიუბილეო და წინასაახალწლო განწყობას განსაკუთრებულად ვიმაღლებ და პეტრე ჩაიკოვსკის უბერებელ ბალეტ „მაკნატუნას" ვცეკვავ. ამით საკუთარ თავსაც ვუკეთებ საჩუქარს და თეატრში მოსულ მაყურებელსაც. თუმცა, წლევანდელი წელი გამონაკლისია — ამ სეზონზე ჩემი ბოლო „მაკნატუნა" ვიცეკვე. სპექტაკლის შემდეგ კი დაბადების დღე ჩემს აგარაკზე, მეგობრებისა და ნათესავების წრეში გაგრძელდა. ჩემი დაბადების დღე არ მიყვარს, უფრო მეტიც, ვერ ვიტან, იმიტომ რომ ამის მთავარი მიზეზი ასაკია — ბავშვობიდანვე არ მინდოდა, გავზრდილიყავი და წლები მომმატებოდა. ისეთი ფანტასტიკური ბავშვობა მქონდა, გაზრდა და ამ ასაკთან დამშვიდობება არასოდეს მინდოდა. დაბადების დღეებზე დედა „მაკნატუნაზე" დასასწრებ ბილეთებს მჩუქნიდა და ეს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო ჩემთვის. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში რომ ვსწავლობდი, მოსკოვის დიდი თეატრის სპექტაკლებზე დასასწრებ აბონემენტებს გვირიგებდნენ. ეს აბონემენტები სასწავლებლის ადმინისტრატორის ხელში იყო და ძალიან ძუნწად იმეტებდა მათ, განსაკუთრებით ჩემთვის ენანებოდა. ამ ადამიანს „გებელსს" ვეძახდი. იცით, რას მეუბნებოდა? ბიჭო, რისთვის დადიხარ აქ, სარკეში ჩაიხედე, ამ მონაცემებით დიდი თეატრის სცენაზე ვერასოდეს იცეკვებო, მაგრამ მისი ნათქვამი არ გამართლდა — სასწავლებლის დასრულებისთანავე დიდი თეატრის დასში ამიყვანეს. ერთ-ერთი საგასტროლო ტურნეს დროს ლონდონის ალბერტჰოლში, სამეფო ოჯახის თანდასწრებით გამოვედით და ძალიან დიდი მოწონება დავიმსახურეთ. სპექტაკლს „გებელსიც" ესწრებოდა. მან ჩემი ხელმძღვანელის წინაშე შემაქო, ვიცოდი, ამ ბიჭს დიდი მომავალი ელოდაო. მე კი ბავშვობა გამახსენდა და ყველას თანდასწრებით პირში მივახალე, რასაც წლების განმავლობაში ჩამჩიჩინებდა, — ასე გაიხსენა თავისი დაბადების დღე ნიკოლოზ ცისკარიძემ.

წინასაახალწლოდ ქართველმა ბალერონმა „მაკნატუნა" დიდი თეატრის განახლებულ სცენაზე პირველად იცეკვა.

— სარემონტო სამუშაოების კრიტიკისას ყველაზე მეტად ამ სცენაზე „მაკნატუნას" ცეკვა მაეჭვებდა. ორმო, რომელიც სპექტაკლში „უფსკრულის" ეფექტს ასრულებდა და მაყურებელს ნამდვილი ჯადოსნობის შთაბეჭდილებას უქმნიდა, სცენაზე აღარ არის. ადრე 2 მეტრი სიღრმის სცენის ლუკებს ვიყენებდით და ეს სავსებით საკმარისი იყო. ახლა მოცეკვავეები, რომლებიც „უფსკრულში უნდა გადაეშვან", სინამდვილეში პლასტმასის „სინჯარაში" ხვდებიან. ამ ახალ ორმოს პლასტმასის კედლები და 8 მეტრი სიღრმე აქვს, ანუ მსახიობი 8 მეტრის სიმაღლიდან ხტება და თითქოს ლიფტის შახტაში ეშვება. „მაკნატუნაში" ჩვენ ამ ორმოში „თაგვების მეფესთან" ერთად ვხტებით. მერე ორმოში კვამლს უშვებენ. ასე გაგუდულები ხველებ-ხველებით ვბრუნდებით სცენაზე. კიდევ იტყვიან, ცისკარიძე ჭირვეულობსო. ძველ სცენაზე მსგავსი პრობლემები არ ყოფილა, — გულწრფელად აღიარა ბალერონმა.

კითხვაზე, რატომ ამბობს უარს თავის საყვარელ ბალეტში ცეკვაზე, ნიკოლოზ ცისკარიძემ ჟურნალისტებს ასეთი პასუხი გასცა:

— ჩემთვის ეს „მაკნატუნა" იმიტომ არის ბოლო, რომ სპექტაკლი რთულია და „ცისკარიძის მანერით" მისი შესრულება ძალიან მიჭირს. ადრეულ წლებში ბალეტის კრიტერიუმები გაცილებით მკაცრი იყო. სწორედ ამ მკაცრი კრიტერიუმებით ცეკვა 38 წლის ასაკში უკვე აღარ გამომდის, — აღნიშნა ნიკოლოზ ცისკარიძემ.

ბალერონი არც იმას მალავს, რომ დიდ თეატრში ცეკვა სანანებელი გაუხდა. მისი თქმით, დიდ თეატრს წამყვანი მსახიობები ტოვებენ. სწორედ ამიტომ მას დასში დარჩენა სანანებელი გაუხდა.

— დასი უკვე დატოვა სოლისტმა ანდრეი უვაროვმა. მანამდე კი წავიდნენ ბალერონი ივან ვასილევი და პრიმა-ბალერინა ნატალი ოსიპოვა. არ არის გამორიცხული, მათ სხვებმაც მიბაძონ. ძალიან ვწუხვარ, რომ თავის დროზე მეც იგივე არ გავაკეთე. ეს ნაბიჯი ვერ გადავდგი, რადგან დიდი თეატრი ჩემთვის ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და ახლაც ასეა. მე მოსკოვი მიყვარს და ჩემი ცხოვრების მთავარ მიღწევად მიმაჩნია, რომ დიდი თეატრის არტისტი ვარ. ამის გამო საბჭოთა კავშირის დროს დედა ვაიძულე, საცხოვრებლად თბილისიდან აქ გადმოვსულიყავით. ამ თეატრში თავს კარგად ვგრძნობ. თვეში ერთ სპექტაკლს ვთამაშობ. ამჟამად მარინის თეატრის „ბრილიანტში" ვცეკვავ, დიდ თეატრში კი „მძინარე მზეთუნახავში" ვარ დაკავებული, რომელსაც სცენა ნოემბერში მხოლოდ 3 დღით დაეთმო, შემდეგი ჩვენებები იანვარშია დაგეგმილი, ისიც მხოლოდ 4 დღით, — აცხადებს მოცეკვავე.

თუმცა, დიდ თეატრთან დაკავშირებული სკანდალები ამით არ სრულდება. „რუსლანი და ლუდმილას" პრემიერაზე მისულმა საზოგადოებამ სცენაზე ბორდელი, სექს-მონები, ტაილანდური მასაჟი და მამაკაცები გამოძახებით იხილა. სწორედ ეს არის გლინკას კლასიკად ქცეული ოპერის სიუჟეტის ნაწილი, რომლის რეჟისორიც დიმიტრი ჩერნიაკოვია. მისი ყურება ჭეშმარიტი კლასიკური მუსიკის დამფასებლებისთვის აუტანელი იყო. საპრემიერო დღეს ნაინას როლის შემსრულებელმა მომღერალმა ელენა ზარემბამ ხელი სცენაზე პრემიერის დროს მოიტეხა. სპექტაკლში მონაწილეობა მან მხოლოდ ტკივილდამაყუჩებლების მიღების შემდეგ განაგრძო.

დიდი თეატრის საოპერო დასის ხელმძღვანელი ქართველი სოპრანო მაყვალა ქასრაშვილი ამ ინციდენტთან დაკავშირებით აცხადებს:

— ზარემბას პარტნიორმა მეტისმეტად უხეშად უბიძგა, რის გამოც ქალი საკუთარ ხელზე უხერხულად დაეცა. ახლა მას თაბაშირი ადევს და სპექტაკლების გაგრძელება თაბაშირით მოუწევს. სამწუხაროდ, მისი შემცვლელი არ გვყავს. ელენა ობრაზცოვა, რომელსაც ზარემბა უნდა შეეცვალა, ავადმყოფობის გამო რეპეტიციებს ვერ ესწრებოდა. ნამდვილად სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ასეთი შემთხვევები სცენაზე ხშირია, — განუცხადა ჟურნალისტებს მაყვალა ქასრაშვილმა.


## განცხადება

**2009 წლის 12 მაისს გარდაცვლილი ნაზიკო პირტახიას (პ/№39001013622ბ დაბ.5.01.1927 წელს) დანაშთ ქონებაზე მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება ნოტარიუს ლია გოგიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მის: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№46-ში.**

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ა.წ. 30 იანვრამდე.**

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● მიკრო ავტობუსი მერსედესი. 1991 წლის. ტელ: 599-26-37-10.

● ძროხების ფერმა 18 სულით, კაპიტალური ბინით. მთელი წელი საძოვრით უზრუნველყოფილი. იდეალურ პირობებში. ფასი შეთანხმებით. 591-40-91- 31. ვარლამი.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულება 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ვკერავთ ლოგინის თეთრეულს, ფარდებს, ავეჯის გადასაფარებლებს, ავტომანქანის შალითებს. ტელ: 258-93-94; 595-96-64-63.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ.მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი 2000 და 4000 დოლარი. ტელ. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი [illegible] ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# რუსეთი ირანის წინააღმდეგ სანქციებს ეწინააღმდეგება

რუსეთი ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების მიღებას ეწინააღმდეგება, ასეთმა ზომებმა უკვე კარგა ხანია საკუთარი თავი ამოწურა.

ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გენადი გატილოვმა გააკეთა.

— ამასთან დაკავშირებით, გაეროს უშიშროების საბჭოზე არავითარი გადაწყვეტილებების მიღება საჭირო არ არის. სანქციებულმა ზომებმა ირანის მიმართ თავიანთი თავი უკვე ამოწურეს და ვერავითარ შედეგამდე ვერ მივიდნენ, — განაცხადა მან და აღნიშნა, რომ დამატებითი საქციების მიღება ეს დასავლეთის ქვეყნების „ნაციონალური გადაწყვეტილების მიღება იქნება“.

სერგეი ლავროვის მოადგილე ასევე აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაცია თავის მხრივ მსგავს ინიციატივებს უარყოფს.

ამასთან ერთად, რუსეთის ფედერაცია ასევე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ირანზე დარტყმის მიყენებას.

თუმცა, რუსეთი თავის მონაწილეობას არ გამორიცხავს კონფლიქტში, რომელიც შესაძლოა აშშ-სა და ისრაელის მიერ ირანზე თავდასხმის შემთხვევაში განვითარდეს. „ნეზავისიმაია გაზეტა“ წერს, რომ რუსეთის შეიარაღებული არმიის გენერალური შტაბი ამუშავებს მასშტაბური სწავლება-წვრთნის გეგმას, ზოგადი სახელწოდებით „კავკაზ“, თუმცა ეს წვრთნა, ამჟამად უკვე არა ოპერიულ-ტაქტიკური იქნება, არამედ სტრატეგიული.

გამოცემის ინფორმაციით ეს სწავლებები იქნება მთავარი მოვლენა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში მთელი 2012 წლი განმავლობაში.

ამავდროულად, ირანის ირგვლივ სიტუაცია სულ უფრო და უფრო იძაბება — ვაშინგტონი და ლონდონი სპარსეთის ყურეში სამხედრო გემებს აგზავნიან,

თავის მხრივ ირანმა თავის საკვანძო ამოცანად ორმუზის სრუტის დაცვა გამოაცხადა.

იმის გამო, რომ „ორმუზის სრუტეს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს“.

ეს განცხადება ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გააკეთა.

— ორმუზის სრუტე მსოფლიო ეკონომიკისათვის სასიცოცხლო არტერიაა, ამიტომაც ამ რეგიონში უსაფრთხოების დაცვა ირანული დიპლომატიის საკვანძო ამოცანაა. ირანი ასევე ყველანაირად ცდილობს უსაფრთხოება სპარსეთის ყურეშიც დაიცვას, თუმცა ამისათვის ერთობლივი ქმედებებია საჭირო, — აცხადებს დიპლომატი.

ამასთან, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ასევე აცხადებს, რომ „ზოგი ქვეყნები საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე არ უნდა წყვეტდნენ ვინ უნდა მიიღოს სარგებელი სპარსეთის ყურიდან და ვინ არა“.

შეგახსენებთ, რომ ორმუზის სრუტეში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ხომალ-



დები იმყოფებიან.

რეალურად დასავლეთი ირანის წინააღმდეგ ნავთობის ფრონტს ხსნის, სპეცსამსახურებმა კი ირანის ბირთვულ პროგრამაზე მომუშავეებზე ნადირობა გამოაცხადეს.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ამ პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირების იმედები ბოლომდე ამოწურული არ არის — აშშ-მ და ისრაელმა რამდენიმე ხნის წინ გამოცხადეს, რომ დაგეგმილი ერთობლივი სამხედრო წვრთნა გადადეს იმისათვის რათა რეგიონში დაძაბულობა კიდევ უფრო არ გაეღრმავებინათ.

„ნეზავისიმაია გაზეტას“ ინფორმაციით კი, რუსული სწავლება „კავკაზ 2012:“ უფრო მასშტაბური იქნება ვიდრე ადრე და ისინი მაქსიმალურად იქნება მიახლოებული იმ სამხედრო-პოლიტიკურ რეალობას რომელიც თანამედროვე მსოფლიოშია — სამხედროების ამოსავალი წერტილი იქნება ირანის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ პირველად ამგვარი სწავლებები 2008 წლის ზაფხულში ჩატარდა -ესქპერტების აზრით, სწორედ ამ მანევრების წყალობით, რუსეთი, მართალია არა მაქსიმალურად ეფექტურად, მაგრამ მაინც მზად აღმოჩნდა საქართველოსთან ომისათვის.

სამხედრო სწავლებაში „კავკაზ 2012“ მონაწილეობას მიიღებს რუსეთში მოქმედი ყველა სამხედრო ორგანიზაცია და ძალოვანი სტრუქტურა.

მანევრები შემოდგომაზეა დაგეგმილი და გაიმართება არა მხოლოდ რუსეთის სამხრეთ რეგიონებში, არამედ აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში და სომხეთში. მუშავდება სწავლების სცენარი, რომელიც ირან-აშშ-ს და სხვა რიგი ქვეყნების შესაძლო ომს, ასევე კასპიის რაიონსა და სამხრეთ კავკასიაში სხვა შესაძლო კონფლიქტებსაც ითვალისწინებს.

„სწავლება ასეთი სახელით 2008 წლის 16 ივლისიდან 2 აგვისტომდე გაიმართა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებთან. ბევრწილად, „კავკასია 2008“-ის წყალობით მოხერხდა საქართველოს მოკლე დროში დამარცხება“, — წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“.

გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ წლევანდელი სწავლება არა ოპერატიულ-ტაქტიკური, არამედ სტრატეგიული იქნება და ჩართული იქნება არა მხოლოდ შეიარაღებული ძალები, არამედ სასაზღვრო, საჰაერო, სამხედრო-კოსმოსური თავდაცვის, საჰაერო-სადესანტო ძალები, ასევე შსს, უშიშროების, დაცვის ფედერალური და საგანგებო სიტუაციების სამსახურები.

სწავლებაში გამოყენებული იქნება ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მართვის სისტემა „ბარნაულ-ტ“.

„ეს სისტემა უკვე აკონტროლებს არა მხოლოდ რუსეთის, არამედ სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან სომხეთში დისლოცირებული 102-ე ბაზა სამხრეთის სამხედრო ოლქის დანარჩენი დაჯგუფებისგან მოწყვეტილია“, — წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“.

სწავლება „კავკაზ 2012“-ში მონაწილეობას როგორც ქვეყნის ყველა სამხედრო ორგანიზაცია, ასევე სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგებლები მიიღებენ.

პოლკოვნიკ ანატოლი ციგანკოვის აზრით, „სწავლებისთვის მზადება სპარსეთის ყურეთი სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით დროზე ადრე დაიწყო და სამხედროებს მოუწევთ შესაძლო მოქმედებების შემუშავება იმ შემთხვევაში, თუ ირანთან ომში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იქნებიან ჩათრეული“.

კიდევ ერთი ექსპერტი, გენერალ-პოლკოვნიკი ლეონიდ ივაშოვი დარწმუნებულია, რომ „სწვალების გეგმიური ხასიათის მიუხედავად, იგი კავკასიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით იქნება კორექტირებული“.

# სამგლოვიარო განცხადებები

## რუსიკო მიქელაძის გახსენება



ჩვენო რუსო, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, გვენატრება შენი ლამაზი ხმა, შენი ხალისიანი სიცილი. მუდამ ჩაგვესმის თითქოს „ჩემო თვალებხატულა...“.

ჩვენო მართლაც თვალებხატულა დაიკო, წახვედი და უზომო სევდა დაგვიტოვე, ფრთები შეგვიკვეცე, თითქოს დაგვაობლე, ერთმანეთს თვალებში ველარ ვუყურებთ. შენს სახლში მისულები იდუმალად ველით, რომ კარს შენ გაგვიღებ, მაგრამ...

ყველაფერი უფლის ნებაა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ციცინო*

---

მეუღლე ნაზი ქუთათელაძე, შვილები ქეთევანი, ლევანი, რძალი ნინო კანდელაკი, სიძე ლევან არღვლიანი, შვილიშვილები ქეთი, ნიკოლოზი, დავითი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლეომინი (თენგიზ) ჯოხაძე**

პანაშვიდი: 19, 20 იანვარს, 17 საათზე.

დაკრძალვა: შაბათს, 21 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: საირმის VIII კორპუსი.

---

ავთანდილ, ზურაბ, ომარ და ნიკო კერესელიძეები, ნათელა, თამაზ და კოტე ჯოხაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა

**ლეომინი (თენგიზ) ჯოხაძე**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს ყველასათვის ძვირფასი ადამიანის გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ, ციალა და ნანა კვარაცხელიები სამძიმარს უცხადებენ მეუღლე მანანასა (ასმათს) და შვილს ნუგის

**ნუგზარ კვარაცხელიას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ნათელში იყოს მისი სული.

---

მეუღლე მანანა (ასმათი) ესართია და შვილი ნუგი იუწყებიან

**ნუგზარ კვარაცხელიას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: კვირას, 22 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: ზუგდიდი, ქაღალდკომბინატის დასახლება, თამარ მეფის ქუჩა 29.



**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# კაჩინსკის თვითმფრინავის კატასტროფის ახალი დეტალები

პოლონეთის სამხედრო — საჰაერო ძალების გენერალს ანჟეი ბლასიკს სმოლენსკში მიმავალი პრეზიდენტის თვითმფრინავის „ტუ-154“-ის პილოტების კაბინაში არავითარი განკარგულება არ გაუცია.

ბლასიკს აქამდე ბრალი ედებოდა საპრეზიდენტო ბორტის ეკიპაჟზე ზეწოლაში, მაგრამ მისი ხმა კაბინაში არ ისმის.

ეს განცხადება ჟურნალისტებთან საუბრისას პოლონეთის სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელმა გააკეთა, თუმცა მან არ დაადასტურა თუ ვის ეკუთვნოდა ხმა, რომელიც ადრე გენერალ ბლასიკისა ეგონათ.

გასული წლის ზაფხულში, საერთაშორისო საავიაციო კომიტეტმა, რომელიც რუსეთში ბაზირდება და რომელიც კატასტროფის მიზეზებს იძიებდა, განაცხადა, რომ გენერალი ბლასიკი მიწასთან შეჯახების მომენტამდე პილოტების კაბინაში იმყოფებოდა და ეკიპაჟზე ზეწოლას ახორციელებდა.

მას, კერძოდ, ბრალი ედებოდა დაშვების დროს განკარგულებების გაცემაში.

პოლონური პროკურატურის ინფორმაციით, ერთმნიშვნელოვანი დამადასტურებელი ფაქტები იმის შესახებ, რომ გენერალი ბლასიკი პილოტების კაბინაში შედიოდა არ არსებობს.

— სამწუხაროდ, ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, თუ რა გახდა კატასტროფის მიზეზი შეუძლებელია, — განაცხადა პროკურატურის წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ პროკურატურის წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა კიდევ ერთხელ შეისწავლეს პილოტების კაბინაში არსებული ჩანაწერები და ეკიპაჟის წევრების ხმები და ასევე მათი, ვინც შესაძლოა ფრენის დროს პილოტების კაბინაში იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ პოლონეთში, სამხედრო პროკურორმა, პოლკოვნიკმა პოზნანი მიკოლაი პშიბილმა, სმოლენსკის ავიაკატროფის საკითხზე გამართული პრესკონფერენციის დასასრულს, თვითმკვლელობა სცადა.

პრესკონფერენციაზე, რომელიც ავიაკატასტროფის ტრაგედიის გამოძიებას ეხებოდა, პშიბილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გამოძიების მსვლელობისას არანაირი დარღვევები არ ყოფილა. პრესკონფერენციაზე დამსწრე ჟურნალისტების თქმით, პროკურორის გამოსვლა ემოციური იყო.

სიტყვის ბოლოს, ჟურნალისტების მიერ კითხვების დასმამდე, მან 5-წუთიანი შესვენება გამოაცხადა.

— დასასრულს, ხაზს ვუსვამ, რომ არასდროს შემილახავს პოლონეთის რესპუბლიკის სახელი, და ყოველთვის დავიცავ პოლონეთის არმიის ოფიცრისა და პროკურორის სახელს. გმადლობთ, ქალბატონებო და ბატონებო, მე დავასრულე. ახ-



ლა, კი ხუთწუთიანი შესვენება. მომეცით საშუალება შევისვენო, — განაცხადა მან.

საკონფერენციო დარბაზიდან ჟურნალისტების გამოსვლის შემდეგ გასროლის ხმა გაისმა. როცა ჟურნალისტები დარბაზში შებრუნდნენ, ნახეს რომ პროკურორი მაგიდის ქვეშ სისხლის გუბეში იწვა, იარაღი კი მკლავთან ეგდო.

პოლკოვნიკი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ცნობისთვის, 2010 წლის 10 აპრილს, თვითმფრინავ ტუ-154-ს, პოლონური დელეგაციის წევრები გადაჰყავდა რუსეთის ქალაქ სმოლენსკში.

მაშინ, როდესაც თვითმფრინავი ჯდებოდა ქალაქ სმოლენსკის აეროპორტში, მან განიცადა ავიაკატასტროფა.

ამ ავიაკატასტროფას შეეწირა პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, პრეზიდენტის მეუღლე, პოლონეთის გენერალური შტაბის და პოლონური არმიის ოფიცრები, ცენტრალური ბანკის მართველი, პოლონეთის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის პრეზიდენტი იანუშ კურტიკა და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

პოლონური მაღალი თანამდებობის პირები მიემგზავრებოდნენ სოფელ კატინში, 1940 წელს „ნკვდ“-ს მიერ პოლონური სამხედრო ნაწილების დახვრეტილთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად.

ამ რეისის შესრულების დროს ქალაქ სმოლენსკში საკმაოდ ცუდი ამინდი და ხილვადობა იყო.

პილოტს შეეძლო თვითმფრინავი მინსკში ან მოსკოვში დაესვა, მაგრამ მან სმოლენსკის აეროდრომი არჩია დასაჯდომად.

ტუ-154-ის მიწაზე ძლიერი დაცემის შედეგად თვითმფრინავს კუდის ნაწილი მოტყდა, რის შემდეგაც ხანძარი გაჩნდა.

რუსეთის ფედერაციამ კატასტროფის მიზეზად პილოტების შეცდომა დაასახელა.

ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპა 96 ადამიანი.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 18 იანვარი**

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.30 აღმოაჩინე საქართველო 15.00 სერ. „ზღვარს მიღმა„ 17.00 დოკ. ფილმი „300 სპარტელის უკანასკნელი შერკინება„ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „მეორე შანსი„ 21.00 სერ. „ზღვარს მიღმა„ 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ევროკავშირი და საქართველო 23.40 მხ. ფილმი „უნივერსიტეტელი ლურჯები„ (12) (ს. ჯ. პარკერი) 02.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი 4„ (12) 04.20 მხ. ფილმი „საიდუმლო ადგილები„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.30, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. „ელიტარული უბანი„ 20.00 მხ. ფილმი „ძალწული დედოფალი„ 01.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი 3„

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „როსალინდა„ 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ეთამაშე ვარსკვლავს 17.00 სერ. „ავრორა„ 18.45 სერ. „მიყვარხარ ლოლა„ 19.45 სერ. „სახლი მეზობლად„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.30 შერეკილები 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. „ქალის სიტყვა„ 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. „დაკარგულები 6„ 16.00 სერ. „შურისძიების საფასური„ 17.40 სერ. „ევა ლუნა„ 19.05 სერ. „ბედისწერის ძალა„ 21.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 22.00 სერ. „გოგონა გარეუბნიდან„ 23.00 სერ. „შუა ქალაქში„ 23.50 მხ. და საზრიანთა ჩემპიონატი 00.50 თბილისი ლაივი 02.15 მხ. ფილმი „ამერიკელი ცოლი„ (ჯ. ბილი) 03.50 მხ. ფილმი „შავი ორქიდეა„ (15) (ჯ. ჰარტნეტი) 06.30 სერ. „მარინა„

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „მარია ემილია„ 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. „ალისა საოცრებათა ქვეყანაში„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. „ტყუპები„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „სამყაროს შექმნა„ 21.00 სერ. „ჯაშუში ქალი„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „ექიმი ქმორი„ 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 „დრო„ 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „ქალი გაიცნობს„ 12.50, 19.35 სერ. „მაფიოზა„ 15.15 სერ. „ექიმი ქმორი„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი 10.35 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 11.15 ჩვენი ფონდი 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.15 კონცერტი — ლ. ისაკაძე (ბათუმი 2011) 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „დები ტრევისის საოცარი სახლი„ 16.00 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 16.30 კვირიაკე 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 22.25 ქართული ალბომი 22.45 მოკ. ფილმი „ქართული მონეტები„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 01.25 მხ. ფილმი „დიდი რბოლა„ მე-2 ნ.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 იანვარი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

- აშშ დოლარი — 1,669
- ევრო — 2,1296
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5759
- რუსული რუბლი — 0,0526

**ამინდის პროგნოზი 14 იანვრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-15, ღამით — 4-7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-17, ღამით — 9-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 3-12, ღამით — -9-2




# 4 იანვრიდან!

## გაზეთი „ახალი თაობა“ გთავაზობთ საშობაო-საახალწლო აქციას

# წიგნი 1 ლარად

## „ახალი ქართული პროზა“ 16 ტომი



**ტომი 1.** ოტია იოსელიანი. ქალი მაინც ქალია

**ტომი 2.** გურამ მეგრელიშვილი. ორი მილიონი უფასოდ

**ტომი 3.** ლაშა იმედაშვილი. სამი მკვლელობა ძველ თბილისში

**ტომი 4.** ნინო სადღობელაშვილი. თავშესაფარი

**ტომი 5.** ირაკლი ლომოური. პარალელური საქართველოს ქრონიკები

**ტომი 6.** ბაჩო კვირტია. მქინარე ციკლოპის ძახილი

**ტომი 7.** გივი ალხაზიშვილი. რკინის კარს აქეთ და იქით

**ტომი 8.** მიხო მოსულიშვილი. ფრენა უკასროდ



**ტომი 9.** გურამ ქართველიშვილი. ბაგრატიონის ქალი

**ტომი 10.** გიზო ნიშნიანიძე. პაემანი თბილისთან

**ტომი 11.** გურამ ოდიშარია. სოხუმში დაბრუნება

**ტომი 12.** გოდერძი ჩოხელი. სულეთის კიდობანი

**ტომი 13.** მაია ბურჭულაძე. მკაცრი რეჟიმის სასახლე

**ტომი 14.** ლაშა იმედაშვილი. პატრიარქის ზაფხული

**ტომი 15.** ოტია იოსელიანი. მუხლზე დაწერილი ბარათები

**ტომი 16.** ნინო ბასილია. შიში

# 3 იანვრიდან

**უნიკალური პროექტი**

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-17 ტომი

# რემბრანტი

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. კინოფილმების „რომაული არდადეგები“, „ბენგურის“ დამდგმელი ჰოლივუდის რეჟისორი; 2. სათამაშო სახლი, კაზინო; 3. იაპონიის იმპერატორი; 5. მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შესახებ; 7. სახელმწიფო ევროპაში; 9. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ქართული რადიო; 15. მორალი ანუ...; 16. ქართველი კომიკოსი; 18. ცხარე საწებელი.

**თარაზულად**: 4. ნავთობის საბადო კახეთში; 6. მონათა აჯანყების მეთაური ძველ რომში; 8. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 10. ფრანგული იავნანა; 11. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 12. დედამიწის თანამგზავრი; 14. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 17. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ბალჩეული ხილი; 20. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟის — დევის ნიღაბი; 21. მდინარე ფლორენციაში; 22. აჭარული ცეკვა; 23. ძვირფასი სარეწაო თევზი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

